აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№49 (25.177) 20 დეკემბერი, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 8-13, მთიან რაიონებში - 3-8 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 2 გრადუსი ყინვა-3 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

ევროპის საბჭოს გენერალურ მდივან ალენ ბერსეს ვიზიტი – საქართველოში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

საქართველოში ვიზიტით იმყოფება ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ალენ ბერსე, რომელიც უკვე შეხვდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძეს, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილს, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“ საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილს, ოპოზიციის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, ასევე, ომბუდსმენ ლევან იოსელიანს

საქართველოს მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა ალენ ბერსეს ვიზიტის მნიშვნელობას და ევროპის საბჭოს მნიშვნელოვან წვლილს საქართველოში რეფორმების განხორციელებისა და ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესში.

შეხვედრისას, ასევე, საუბარი შეეხო საქართველოსა და ევროპის საბჭოს ნაყოფიერ თანამშრომლობას და ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს.

- ჩვენ გვქონდა ძალიან მეგობრული, პროდუქტიული შეხვედრა. ვისაუბრეთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, საქართველოსა და ევროსაბჭოს თანამშრომლობაზე. შევთანხმდით, რომ გაგრძელდება მჭიდრო თანამშრომლობა ჩვენს ქვეყანასა და ევროსაბჭოს შორის. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩვენ გვაკავშირებს ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა. ჩვენი ინტერესია, რომ ეს თანამშრომლობა მაქსიმალურად აქტიურად გაგრძელდეს. პირადად გენერალური მდივნის როლი ამაში განსაკუთრებულია და დარწმუნებულები ვართ, ჩვენს ქვეყანას ექნება პირადად ბატონი ალენ ბერსეს მხარდაჭერა ყველა მიმართულებით, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

ვიზიტის დაწყებამდე განცხადება გაავრცელა ევროპის საბჭომ, სადაც აღნიშნულია, რომ ვიზიტი იმართება პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობის პირობებში, რომელსაც თან ახლავს პოლიტიკური დისკურსის უკიდურესი პოლარიზაცია და ბოლო კვირებში მომხდარი ძალადობის ფაქტები. მათივე განცხადებით, ვიზიტის მიზანია, უზრუნველყოს ევროპის საბჭოსა და საქართველოს შორის „თანამშრომლობის გაგრძელებისთვის აუცილებელი პირობები, ორგანიზაციის ღირებულებებისა და პრინციპების სრული დაცვით“.

სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტში ალენ ბერსე საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრის შესახებ წერს:

„კონსტრუქციული გაცვლა შედგა თბილისში საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლებთან. განვიხილეთ საქართველოში არსებული მდგომარეობა და ევროპის საბჭოს 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმის მთავარი როლი დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებაში“.

ალან ბერსე საქართველოში 18 დეკემბერს ჩამოვიდა. ვიზიტი 21 დეკემბერს დასრულდება.

უმაღლეს საბჭოში საშემოდგომო სესია პლენარული სხდომით დაიხურა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

აჭარის უმაღლეს საბჭოში დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვამდე, კანონმდებლებმა პოლიტიკური განცხადებები გააკეთეს. სხდომაზე, უმაღლესი საბჭოს წევრების - დავით გაბაიძის, ტიტე არაშიძის, ფრიდონ ფუტკარაძისა და დავით ბაციკაძის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტი, მისმა ერთ-ერთმა ავტორმა, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ტიტე არაშიძემ წარმოადგინა. მისი განმარტებით, საკანონმდებლო პაკეტი ორ პროექტს მოიცავს: ა) რეგლამენტში ცვლილებები, სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლამ, მაჟორიტარული სისტემის გაუქმებამ და საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებულმა სხვა ცვლილებებმა გამოიწვია. პროექტის თანახმად, წესრიგდება, ზუსტდება ან ახლებურად ყალიბდება რეგლამენტის ცალკეული ნორმები. ოლქის დელეგატსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შორის კომუნიკაციის გამარტივების მიზნით, დელეგატს ეძლევა უფლება, შესაბამის ოლქში ჰყავდეს პირადი წარმომადგენელი. ბ) „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საბჭოს დადგენილებაში განსახორციელებელი ცვლილებების მიზანია, მისი, რეგლამენტის ახალ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მოხსენებისა და მოსაზრებების გაცნობის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარე დავით გაბაიძემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა. დეპუტატებმა საკანონმდებლო პაკეტის ორივე პროექტს ცალ-ცალკე უყარეს კენჭი და გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით, 13-13 ხმით დაამტკიცეს.

სხდომის დასასრულს აუღერდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი, რითაც საშემოდგომო სესია დაიხურა.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ახალი პრეზიდენტი არჩეულია, აქციები და სანქციები – კვლავ აქტუალური

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

საქართველოს ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ქვეყნის ისტორიაში **მიხეილ ყაველაშვილი** პირველი პრეზიდენტია, რომელიც ამერიკული მოდელით, არაპირდაპირი გზით აირჩიეს. ყაველაშვილმა საარჩევნო კოლეგიის 224 ხმა მიიღო. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თქმით, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 225-მა წევრმა, საიდანაც 1 ბიულეტენი გაბათილდა. მას მხარი არ დაუჭირა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრმა ადა მარშანიამ, რომელმაც თქვა, რომ ყაველაშვილის კანდიდატურა არ მოსწონს.

ყაველაშვილის გაპრეზიდენტებას გამოეხმაურა პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი და საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი.

„ვულოცავ მიხეილ ყაველაშვილს საქართველოს პრეზიდენტად არჩევას. ვულოცავ ჩვენს ქვეყანას ჭეშმარიტად ქართველ, პატრიოტ და ღირსეულ პრეზიდენტს. დღევანდელი არჩევნების შემდეგ სრულყოფილად ამოქმედდა საქართველოს ევროპული სტილის კონსტიტუცია, რომელიც ქვეყნის სრულად საპარლამენტო მოწყობას ითვალისწინებს, მიხეილ ყაველაშვილის ინაუგურაციის შემდეგ კი ერთხელ და სამუდამოდ დასრულდება ამ ქვეყანაში პოლარიზაციის, ადამიანთა დაყოფის და რადიკალიზაციის ხელოვნური მცდელობები. დარწმუნებული ვარ, მიხეილ ყაველაშვილი იქნება ის პრეზიდენტი, რომელიც დააბრუნებს ამ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუციას კონსტიტუციის ფარგლებში და, ამასთანავე, ითამაშებს განსაკუთრებულ როლს ჩვენი საზოგადოების გაერთიანებასა და მშვიდობიან თანაცხოვრებაში“, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ყაველაშვილმა უცხოეთიდან მილოცვები და მიპატიჟება უკვე მიიღო. მას პრეზიდენტად არჩევა მიულოცეს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა, ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ, სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა და სერბეთის პრეზიდენტმა ალექსანდრ ვუჩიჩმა, რომელმაც ყაველაშვილი სერბეთშიც მიიწვია.

აღსანიშნავია, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია ოპოზიციას. ეს ალბათ გასაკვირი არც იყო, რადგან ოპოზიციონერმა დეპუტატებმა 2024 წლის არჩევნების შემდეგ უარი თქვეს პარლამენტში შესვლაზე. როგორც ისინი აცხადებენ, მათი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილია, რადგან მიხეილ ყაველაშვილი არალეგიტიმური პრეზიდენტია.

„პოზიცია არის ცალსახა - არალეგიტიმური არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტი არის არალეგიტიმური პარლამენტი, არალეგიტიმური პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი არის არალეგიტიმური პრეზიდენტი. შესაბამისად, ლეგიტიმური პრეზიდენტი არის სალომე ზურაბიშვილი და ის დარჩება ლეგიტიმურ პრეზიდენტად ახალ საპარლამენტო არჩევნებამდე“, - განაცხადა პარტია „ლელოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ბადრი ჯაფარიძემ.

ორბელიანების სასახლიდან წასვლას და პრეზიდენტობის დათმობას არ აპირებს სალომე ზურაბიშვილი.

„მე ვრჩები, როგორც თქვენი პრეზიდენტი. არ არსებობს ლეგიტიმური პარლამენტი, მაშასადამე, არალეგიტიმური პარლამენტი ვერ აირჩევს ახალ პრეზიდენტს. მაშასადამე, ინაუგურაცია ვერ იქნება და ჩემი მანდატი გრძელდება მანამ, სანამ არ იქნება ლეგიტიმურად არჩეული პარლამენტი, რომელიც ლეგიტიმურად აირჩევს მას, ვინც მე უნდა შემცვალოს“, - აცხადებს ზურაბიშვილი.

პრეზიდენტის ინაუგურაცია 29 დეკემბერს არის ჩანიშნული...

სამ კვირაზე მეტია, რაც ქვეყანაში საპროტესტო აქციები მიმდინარეობს. თბილისის მთავარი გამზირი კვლავ პროტესტის ეპიცენტრია. აქციის მონაწილეების მოთხოვნაა ახალი არჩევნები, ევროპული გზისკენ სვლა და აქციაზე დაპატიმრებული მოქალაქეების გათავისუფლება.

აქციას მარშით ყველა პროფესიის ადამიანები უერთდებიან. მათ შორის არიან ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, ტრენერები, ფინანსური სფეროს წარმომადგენლები, მარკეტერები, PR-ისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის წარმომადგენლები, ფსიქოლოგები, იურისტები და სხვა. ყოველდღიურად აქცია მიმდინარეობს საქართველოს სხვადასხვა ქალაქშიც.

მმართველ გუნდში მიაჩნიათ, რომ ასეთი მარშების უკან ოპოზიცია დგას. სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლების მარშს აფასებს პრემიერი ირაკლი კობახიძე.

„ეს ყველაფერი არის ეგრეთ წოდებული პერფორმანსი და სინამდვილეში რადიკალური ოპოზიციის აქციებია. თქვენ ხედავთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ერთსა და იმავე ადამიანებს ატარებენ სხვადასხვა პროფესიული ნიშნით გამართულ აქციებზე. ასეთი ფაქტები კი დამატებითი დასტურია იმისა, რომ ეს პერფორმანსები თავიდან ბოლომდე პარტიულადაა მართული. ზუსტად იგივე სცენარი ვითარდებოდა უკრაინული მაიდნის დროს და სხვა რევოლუციური პროცესების დროს“, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ მედიასთან საუბრისას.

ოპოზიციაში კი ამბობენ, რომ მმართველი გუნდი ცრუობს და მარშები, რომლებიც ეწყობა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლების მხრიდან არის გულწრფელი და ამაში პოლიტიკური ძალები არ ერევიან.

აღსანიშნავია ქალაქი ბათუმი, სადაც აქციის მონაწილეები უწყვეტ რეჟიმში იკრიბებიან საკონსტიტუციო სასამართლოსთან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ნაწილი კვლავ გაფიცულია. მათი თქმით, მხოლოდ მაშინ დაუბრუნდებიან აუდიტორიებს, როდესაც მიზანს მიაღწევენ.

რაც შეეხება მმართველ გუნდს, ამბობენ, რომ ახალ წლამდე ქვეყანაში საპროტესტო ტალღა აღარ იქნება.

მიმდინარე აქციების ფონზე სანქციების თემაც გააქტიურდა.

15 დეკემბერს ლიეტუვამ კიდევ 17 ქართველ პოლიტიკოსს, მათ შორის პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძეს დაუწესა სანქციები. ამის შესახებ ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრმა კაისტუსის ბუდრისმა სოციალურ პლატფორმა X-ზე დაწერა.

რაც შეეხება ესტონეთს, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, მათგან საქართველოს ხელისუფლების კიდევ 14 წევრია სანქცირებული და მათ შორის კვლავ არის პრემიერი ირაკლი კობახიძე.

სანქციებს მოჰყვა საქართველოს მთავრობის განცხადება, სადაც აღინიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, არ გაატაროს საპასუხო ზომები ლიეტუვისა და ესტონეთის მხრიდან სანქციებთან დაკავშირებით. მათივე თქმით, საქართველო რჩება ორივე სახელმწიფოსთან ცალმხრივი მეგობრობის რეჟიმში, რათა არ შეექმნას საფრთხე ტრადიციულ მეგობრობას ქართველ, ესტონელ და ლიეტუველ ხალხს შორის. მთავრობის მეთაურის თქმით, აღნიშნული ქმედება ამ ორი ქვეყნის მხრიდან პროვოკაცია იყო.

„ეს იყო მარტივი პროვოკაცია, რომელიც შესრულდა ორი ბალტიისპირული ქვეყნის ხელით, რაც ძალიან სამწუხაროა. თქვენ იცით, რომ ქართველ ხალხს აქვს განსაკუთრებული დამოკიდებულება როგორც ლიეტუველი, ასევე ესტონელი ხალხის მიმართ და ამ ფონზე განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ სწორედ ამ ორი ქვეყნის ხელისუფლების ხელით ეწყობა ასეთი პროვოკაციები“, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

რაც შეეხება ოპოზიციის წევრებს, მათ მიაჩნიათ, რომ სანქციები სამომავლოდაც გაგრძელდება და მმართველი პარტიის კიდევ უფრო მეტ წარმომადგენელს დაუწესდება.

„სანქციები კვლავ იქნება, ამაში დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო მეტად გაღრმავდება და დამძიმდება, მაგრამ მთავარი ხაზი გადის ჩვენზე და მე მგონია, ჩვენ ეს ხაზი ძალიან წარმატებით გვიჭირავს“, - განაცხადა ნიკა გვარამიამ.

სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტობის ვადაში ასწრებს ქვეყნის გარეთ ვიზიტებს. ის 18 დეკემბერს ევროპარლამენტში სიტყვით გამოვიდა და ევროპარლამენტარებსა და ევროპული სახელმწიფოების ლიდერებს საქართველოში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით მიმართა. სალომე ზურაბიშვილმა ყურადღება გაამახვილა 26 ოქტომბრის არჩევნებზე, საქართველოში მიმდინარე აქციებზე, დარბევებზე, კანონმდებლობის გამკაცრებასა და სხვა საკითხებზე. მან ევროპარლამენტში გამოსვლისას აღნიშნა, რომ ქართველი ხალხი არ შეჩერდება, სანამ ქვეყანაში ახალი არჩევნები არ ჩატარდება.

ზურაბიშვილმა არც მოწოდებები დაიშურა. ამასთან, მოკავშირეებს კიდევ უფრო აქტიური ქმედებისკენ მოუწოდა.

„ქართველები იბრძვიან დღე და ღამე, ევროპა კი ნელა რეაგირებს... თქვენ უნდა გამოიყენოთ თქვენი ბერკეტები“, - აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა ევროპარლამენტში გამოსვლისას.

როგორც მოსალოდნელი იყო, ზურაბიშვილის ვიზიტს გამოხმაურება მოჰყვა მმართველ გუნდსა და ოპოზიციაში.

„ქართულმა ოცნებამ“, რომელიც სალომე ზურაბიშვილის მწვავე განცხადებების ადრესატი იყო, მოქმედი პრეზიდენტის შინაარსობრივ დისკუსიაში შესვლაზე უარი თქვა. ერთადერთი, რაზეც პარტიაში ყურადღება გაამახვილეს, არჩევნების შედეგების გაყალბების საკითხს ეხებოდა.

„რა ილაპარაკა, რას იმავნებლებს სალომე ზურაბიშვილი და როგორ „მოიქნევს კუდს“ ის, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ამ გამოსვლის მთავარი მიზანი იყო, რომ რამდენიმე ასეული ევროპარლამენტარი წამომდგარიყო, ფეხზე დგომით ტაში დაეკრა სალომე ზურაბიშვილისთვის, როგორც ქართული აგენტურული ოპოზიციის ახლად გამოჩეკილი ლიდერისათვის. ასეც მოხდა, ერთი განსხვავებით, რომ მათ ვერ შეძლეს ევროპარლამენტარების მობილიზება. მხოლოდ რამდენიმე ათეული ევროპარლამენტარი ესწრებოდა ამ პერფორმანსს და იღებდა ამაში მონაწილეობას“, - განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ.

სალომე ზურაბიშვილის ევროპარლამენტში გამოსვლით კმაყოფილი დარჩა ოპოზიციური სპექტრი, რომლის წარმომადგენლები იმედს გამოთქვამენ, რომ ზურაბიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებს ევროპარლამენტარების მხრიდან მკაფიო რეაგირება ექნება.

„დადებითად ვაფასებ, რაც სალომე ზურაბიშვილმა ევროპარლამენტის ტრიბუნიდან თქვა. დარწმუნებული ვარ, მისი ხმა გაგებული იქნება წევრი ქვეყნების დედაქალაქებში. რა თქმა უნდა, შეშფოთებების დრო აღარ არის“, - აღნიშნა პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერმა გიორგი გახარიამ.

ქრონიკა

ბათუმის ავტოტრანსპორტის ინფორმაციით, 13 დეკემბერს ამოქმედდა ახალი სამარშრუტო ხაზი №19 ბენზეს დასახლების მიმართულებით. ხაზს მოემსახურება თანამედროვე, კომფორტული ავტობუსები, რომლებიც უზრუნველყოფენ მგზავრობის მაქსიმალურ კომფორტს და უსაფრთხოებას. მარშრუტის მიმართულებაა: დავით აღმაშენებლის, ტბელ აბუსერისძის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, სევერიან აჭარელის, ოდისეი დიმიტრიადის, ცოტნე დადიანის, იოსებ გრიშაშვილის, ტბეთის ქუჩები. უკუმიმართულება - იგივე.

* * *

4800-ზე მეტ ფერმერზე მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის საჭირო ტექნიკის თანადაფინანსება. ინფორმაციას აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს. უწყების ინფორმაციით, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები და პროგრამების განხორციელების დეპარტამენტის თანამშრომლები ფერმერებზე ტექნიკის გაცემის პროცესს დაესწრნენ, რომელიც დასკვნით ეტაპზეა.

* * *

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, უკანონო ტყითსარგებლობასთან ბრძოლის ფარგლებში, 2024 წლის 01 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით, უკანონო ტყითსარგებლობის 187 ფაქტი გამოავლინეს. მათ შორის 135 ხე-ტყის უკანონო მოპოვება-ტრანსპორტირებას ეხება, 52 კი სახერხი საამქროების მიერ ტექნიკური რეგლამენტის დარღვევისა და უკანონო სახერხი საამქროების ფაქტებია. სამართალდარღვევებიდან 13 ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

* * *

„ხალხის ძალამ“ საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა, - ამის შესახებ პარტია „ხალხის ძალის“ აღმასრულებელმა მდივანმა გურამ მაჭარაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, „ხალხის ძალა“ სათავეს დაუდებს საქართველოში ჯანსაღი ოპოზიციის არსებობას. „ჩვენ დღეს გვყავს ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, მაგრამ სამწუხაროდ, გვყავს უცხოური ძალების მიერ დაფინანსებული ე.წ. რადიკალური ოპოზიცია. გამომდინარე აქედან, პოლიტიკურმა პარტია „ხალხის ძალამ“ გადავწყვიტეთ, დავტოვოთ საპარლამენტო უმრავლესობა და ამით სათავე დავუდოთ საქართველოში ჯანსაღი ოპოზიციის არსებობას, - განაცხადა გურამ მაჭარაშვილმა.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ტერორიზმის შესახებ 2023 წლის ანგარიში გამოაქვეყნა. ყოველწლიურ ანგარიშში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან ერთად, შეფასებულია საქართველოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ საქართველომ განაგრძო ურყევი ძალისხმევა კონტრტერორიზმის საკითხებში და დარჩა ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე პარტნიორად უსაფრთხოების მიმართულებით.

* * *

როგორც ცნობილია, ლიეტუვისა და ესტონეთის მთავრობებმა მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს ხელისუფლების ოცამდე წარმომადგენლისთვის, მათ შორის საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის სანქციების დაწესების თაობაზე. „საქართველოს ხელისუფლებას აქვს უფლება და შესაძლებლობა, ლიეტუვისა და ესტონეთის მთავრობების აღნიშნულ ანტიქართულ გადაწყვეტილებას შემხვედრი ზომები დაუპირისპიროს. თუმცა, ლიეტუველი და ესტონელი ხალხის პატივისცემის გამო, ამგვარი ნაბიჯის გადადგმა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ჩვენი გადაწყვეტილებაა, ორივე სახელმწიფოსთან დავრჩეთ ცალმხრივი მეგობრობის რეჟიმში, რათა ჩვენი მხრივ არ შევუქმნათ საფრთხე ტრადიციულ მეგობრობას ქართველ, ესტონელ და ლიეტუველ ხალხებს შორის,“ - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ.

* * *

ბოლო დღეებში ინტენსიურმა ნალექმა თავისი შედეგი გამოიღო. ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალზე, დაბა ქედასთან ახლოს, სოფელ გულებთან მეწყერი ჩამოწვა, მან გზის 40 მეტრი დაფარა. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკა აწარმოებს სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებს.

სამხედრო რეპორტიორი: რაც იქ ვნახე, არ დამიწერია, მოვერიდე უკრაინული და მსოფლიო საზოგადოების დემორალიზაციას

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

ზაირა მიქატაძე, თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, სხვადასხვა ცენტრალურ პრესაში მუშაობდა, მათ შორის, საკმაოდ დიდხანს - „რეზონანსში“, სატელევიზიო არხ „ობიექტივზე“ მიჰყავდა „ვეტერანის საათი“, აზერბაიჯანულ სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. პროფესიის დაუფლების საწყის ეტაპზე, გაზეთ „თბილისის“ მივლინებით, წავიდა აფხაზეთის ომში, მიმაგრებული იყო ერთ-ერთ ბატალიონს და შემდგომ მიიღო ამ ომის მონაწილის სტატუსი

გარდა ამისა, ხუთდღიანი მივლინებით იმყოფებოდა ავღანეთში, რამაც უდიდესი კვალი დატოვა მის ცხოვრებაზე. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან მალევე გაემგზავრა უკრაინაშიც და რეპორტაჟებს გადმოსცემდა ცხელი წერტილებიდან. აქვს სამხედრო ჟურნალისტის კვალიფიკაცია, რაც სათანადო სერტიფიცირებული სწავლებების გავლის შედეგად მიიღო. დღემდე სამხედრო ცხოვრებით ცხოვრობს და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში მუშაობს.

- ზაირა, თქვენი ბიოგრაფია მართლაც შთამბეჭდავია. როგორც გამოცდილი სამხედრო რეპორტიორი, როგორ შეაფასებთ საქართველოში მიმდინარე საპროტესტო აქციებს?

- ეს არის წმინდა წყლის ანტისახელმწიფოებრივი პროცესები. ოპოზიციურად განწყობილი მხარე ხშირად მადანაშაულებს ხელისუფლების მხარდაჭერაში, მაგრამ მინდა ხმამაღლა განვაცხადო, რომ მთავრობას კი არა, ქვეყნის სახელმწიფოებრიობას ვუჭერ მხარს, ანუ არ მინდა ჩვენი სახელმწიფო ჩამოიშალოს.

- ოპოზიციაც იგივეს ამტკიცებს...

- არა, რასაც მომიტინგეები ითხოვენ, იმ გარე ძალების ნაკარნახევია, ვისაც ხელს აძლევს საქართველოში არეულობა და ჩვენთან მეორე ფრონტის გახსნა სურს. ამას ვაცხადებ ხმამაღლა და ვერავითარი ძალა საპირისპიროში ვერ დამარწმუნებს, რადგან უკრაინაში ომის დაწყების პირველი დღიდანვე სურდათ საქართველოში ომის წამოწყება. გახსოვთ, როგორ ცდილობდნენ ამას... ეს საკითხი არც ახლაა მოხსნილი დღის წესრიგიდან. იმედი მაქვს, აშშ-ის არჩეული პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ინაუგურაციის შემდეგ შეწყდება ომები და თავისთავად დაასრულებენ ჩვენს „ლაჩრობაზე“ საუბარს, ამ ეტაპზე კი იმ მოცემულობაში ვართ, რასაც თავადაც ხედავთ - ჩვენი ახალგაზრდები დააბრმავეს ფსევდოპატრიოტული ლოზუნგებით და ისინიც თავდაუზოგავად ჩაერთნენ იმ ბრძოლაში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დაღუპვას უქადის ჩვენს ქვეყანას. სხვანაირ ახსნას ვერ ვუძებნი, ეს პროცესები იმ ძალების მიერაა მართული, რომლებსაც სურთ საქართველოს ომში ჩათრევა. ეს რუსული ძალებია, ინგლისური თუ ფრანგული, არ ვიცი. შესაძლოა, ყველა ერთად იყოს. ამის განცხადების საფუძველს მაძლევს აფხაზეთის ომის ანალიზი, რომლის წამოწყებასაც მხოლოდ რუსეთს ვუკავშირებდით, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, იქ ევროპელი და ამერიკელი ინსტრუქტორებიც მოქმედებდნენ... ანუ, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ მთავრობა არაფერ შუაშია, მას უჭირავს ჩვენთვის ერთადერთი გამართლებული საგარეო პოლიტიკის კურსი. ნებისმიერი გადახრა ამ გზაზე ჩვენს დამოუკიდებლობას უქმნის რეალურ საფრთხეს. მე დღეს მხოლოდ და მხოლოდ ამის გამო ვდგავარ მათ გვერდით და ამ ეტაპზე არ ვარკვევ, ვინ სად და რამდენი იშოვა, რამდენი სახლი თუ აგარაკი აიშენა და სხვა. ამჟამად მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი სახელმწიფოებრივი გადარჩენის პრობლემა მაწუხებს და დარწმუნებული ვარ საკუთარ სიმართლეში.

- როგორც სამი ომის მონაწილე და სამხედრო ჟურნალისტი, ცხადია, მხოლოდ ფილმებით და დოკუმენტური კადრებით არ შემოიფარგლებით ომის შესახებ საუბრისას. ბევრი ჩვენი თანამემამულე აცხადებს, რომ „ლაჩრები არ ვართ და თუ რუსეთი დაგვემუქრება, იარაღით ხელში უნდა გავცეთ პასუხი“. რა ასოციაციებს იწვევს ეს თქვენში?

- თქვენ მართალი ხართ, ასე ამბობენ და მართლა არ იციან, რა არის ომი, ომი ომობანა ჰგონიათ, პიროტექნიკას რომ ესვრიან რუსთაველზე მწკრივში განლაგებულ პატრულს... ომი არის უამრავი შენი ახლობლის სიკვდილი, ჩაშავებული ოჯახები, ძმათა სასაფლაოები... ტკივილი, სიბინძურე, აუტანელი სუნი, თავის გადარჩენის ინსტინქტით ჩადენილი უამრავი მკვლელობა და დაუსრულებელი ტკივილი, შიმშილი, სიცივე, უძილობა, გადაღლილობა, მეგობრებისთვის გაქვავებულ მიწაში ხელდახელ გათხრილი სამარხები... სისხლი, ტალახი და როგორც საკუთარი, ისე გვერდით მყოფი ადამიანების სიცოცხლის დაკარგვის შიში... შენ თვალწინ იშლება ადამიანის ურთულესი ბუნება მარტივ მამრავლებად, წინასწარ ვერავინ იტყვის, ვინ იქნება გმირი და ვინ - დეზერტირი ან მოღალატე. ომი ყველა ინსტინქტს მოურიდებლად აშიშვლებს და რჩები მხოლოდ საკუთარი თავის ამარა. ყველაფერ ამას სიტყვებით ვერ აღწერ, ეს არ უნდა გამოსცადოს 21-ე საუკუნის აზიზად აღზრდილმა ადამიანმა, არ უნდა გამოსცადონ იმ ახალგაზრდებმა, დღეს ომახიანად რომ აჟღერებენ უცხო ქვეყნების სამსახურების მიერ შემუშავებულ უაზრო ლოზუნგებს. ისიც მინდა გითხრათ, რომ თუკი ომში შეხვედი, ვეღარ გამოხვალ, მთელი ცხოვრება იხსენებ დაღუპულ მეგობრებს, გადიხარ მათ საფლავებზე და ყოველი გასვლა ხელახლა აღვიძებს ტკივილსა და იარებს... ომიდან დაბრუნებულ ბიჭებს პოსტტრავმები აღენიშნებათ და მათი უმრავლესობა ვერ ახერხებს საზოგადოებაში ინტეგრაციას, უმეტესობას ფსიქიკა სამუდამოდ დანგრეული რჩება... ეს არ არის ლიტონი სიტყვები, 32 წელი გავიდა თუ მეტი, და დღესაც გავდივართ აფხაზეთში დაღუპული თანამებრძოლების საფლავებზე, მათი ერთადერთი ჭირისუფლები ვართ, რადგან მათი მშობლები ცოცხლები აღარ არიან...

- საქართველო არ არის მზად საომარი მოქმედებების საწარმოებლად?

- ჩვენ არანაირად არ ვართ მზად - არც ფიზიკურად, არც მორალურად თუ ფსიქოლოგიურად. ომს საქართველო ვერ გაუძლებს. აქედანვე ცხადია, იქიდან განადგურებულები გამოვალთ. თითოეულს ატომი რომ გვეჭიროს ხელში, მაინც ვერ გავუმკლავდებით ამხელა ძალას. ხომ ხედავთ, მთელი მსოფლიო ებრძვის რუსეთს და ვერაფერს გახდა. თავიდან რომ გვეგონა, უკრაინა იმარჯვებდა, ახლა კაპიტულაციის უმძიმეს პირობებზეც თანახმაა.

- რა ხდებოდა უკრაინაში?

- რაც იქ ვნახე, არ დამიწერია, მოვერიდე უკრაინული და მსოფლიო საზოგადოების დემორალიზაციას. ჩვენ ხომ უკრაინის ომს როგორც საკუთარს, ისე განვიცდიდით და განვიცდით... მაგრამ იქიდან ჩამოვედი განადგურებული. ტყუილი აღმოჩნდა მითი დაუანგულ, გაუბედურებულ ტანკებსა და უხეიო, უმაქნის ჯარისკაცებზე. როგორ, ამ „უვარგისმა ჯარმა“ შეძლო ზელენსკის კაპიტულაციამდე მიყვანა?!

- ჯერ ხომ მსგავსი არაფერი გამოცხადებულა?

- კაპიტულაციაა, აბა, რა არის, როდესაც ზელენსკი აცხადებს, რუსეთს დროებით დავუთმობთ ოკუპირებულ ტერიტორიებს, ოღონდ, დარჩენილი ტერიტორიებით მიგვიღონ ნატოშიო... ტრამპიც მოუწოდებს რუსეთს ომის შეწყვეტისკენ, თან ითხოვს იმ მოცემულობით შეწყვეტას, როგორი მოცემულობაც ამ ეტაპზეა, ხოლო რა ეტაპზეა, ყველამ ვიცით - რუსეთმა სამი იმდენი ტერიტორია დაიმატა, რაც უკვე ჰქონდა მიტაცებული... ჩვენ რას ვიზამთ? მოდი და ებრძოლე ამხელა ძალას... მაშინ პატარა გოგო ვიყავი და მჯეროდა, რომ გულანთებულები, მამაცები სასწაულებს ჩავიდენდით და რუსეთს მოვერეოდით. თუ გახსოვთ, ტამიშში რუსებმა გადმოსხეს დესანტი და მე აღმოვჩნდი მათ წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. შემდეგ თბილისში, მაშინდელი ეროვნული მოძრაობის ლიდერ გია ჭანტურიას მიტინგს დავესწარი. ერთადერთი კითხვა დავუსვი: ახლა კი მოვიგერიეთ რუსული დესანტი, მაგრამ შემდეგ უფრო მეტ ჯარისკაცს გადმოისვრიან და რომელი ძალებით შევებრძოლებით-მეთქი?.. მახსოვს, ძალიან ცუდად, უხეშად მიპასუხა, რუსეთს აუცილებლად დავამარცხებთო. ახლაც მიკვირს, გია არ იყო დაბალი რანგის პოლიტიკოსი, რისი იმედი ჰქონდა, ვერ მივხვდი... მოკლედ, ამის შემდეგ რუსეთმა მართლაც გამოგზავნა ჯარი და ორ კვირაში დაგვისრულეს ომი განახლებული ბრძოლებით, რასაც წინ უძღოდა რუსეთის მონაწილეობით მხარეებს შორის მოლაპარაკებები. 27 ივლისს სოჭის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, რომელიც აფხაზურმა მხარემ ცალმხრივად დაარღვია. 1993 წლის 1-20 აგვისტო: ქართულმა მხარემ მთლიანად შეასრულა შეთანხმება - მდინარე გუმისთის მონაკვეთზე დატოვა მხოლოდ ორი სამეთვალყურეო პუნქტი, დაიწყო ბატალიონების დაშლა, ფოთის მიმართულებით გაიყვანა მძიმე ტექნიკა. 1993 წლის 16 სექტემბერს რუსეთის მიერ მხარდაჭერილმა სეპარატისტებმა დაარღვიეს სოჭის შეთანხმება და რუსეთის სამხედრო ნაწილების დახმარებით დაიწყეს მასობრივი შტურმი პრაქტიკულად განიარაღებულ სოხუმზე. იერიში, ძირითადად, ხორციელდებოდა სოხუმის მშვიდობიან მოსახლეობაზე. 1993 წლის 27 სექტემბერს რუსეთის შეიარაღებული ძალების, ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერანტებისა და დაქირავებული „ბოევიკების“ მეშვეობით, აფხაზმა სეპარატისტებმა აიღეს სოხუმი. ჩვენ შევასრულეთ პირობა, აფხაზებმა - არა, მათ რუსეთი დაეხმარა და მორჩა... ისინი მაინც გაიმარჯვებდნენ, არაფერი გვიშველიდა, რადგან ჩვენს ჯარს როგორც ტექნიკურად, ისე მორალურ-ფსიქოლოგიურად არანაირი რესურსი აღარ გააჩნდა, 4 ათასი ბიჭი დაიღუპა, დანარჩენი ხეიბარი დარჩა, ვიღას უნდა ებრძოლა?! ახლაც ასეა - ვინღა შეგვრჩა, გვყავს ცოცხალი ძალა ერთ ბეწო საქართველოს?

- რადგან აფხაზეთის თემას შევეხეთ, ისიც ვთქვათ, რა მდგომარეობაა ახლა სოხუმში? როგორ ფიქრობთ, რატომ მოაქცია რუსეთმა ის ჩიხში?

- ესეც მსოფლიოს გადანაწილების სქემის ერთ-ერთი რგოლი მგონია. თავის დროზე რუსეთმა ცნო სამაჩაბლოს და აფხაზეთის დამოუკიდებლობა, მაგრამ არ მიიერთა. ალბათ, იმთავითვე დაიტოვა ეს ორი რეგიონი სავაჭროდ... იქნებ დაგვიბრუნოს, მაგრამ - რის ფასად?! არავინ იცის, როგორ შეიცვლება მსოფლიო პოლიტიკური რუკა უახლოეს წლებში. აქტორები ჯერ არ ამჟღავნებენ ჩანაფიქრს. აქ აქციებზე გამოსული ახალგაზრდების თუ ოპოზიციის ლოზუნგები და შეხლა-შემოხლა არაფერს წყვეტს, ჩვენი მომავალი სულ სხვა განზომილებაში ანალიზდება, სადაც მხოლოდ მსხვილი მოთამაშეები დაიშვებიან და სადაც ჩვენისთანა პატარა ქვეყნების ბედს დესერტებად უფრო განიხილავენ... მხოლოდ აბრეშუმის გზის ამოქმედება და ხელსაყრელი გეოგრაფიულ-პოლიტიკური მდებარეობა გვაქვს კარტ-ბლანშად, ამიტომაცაა აუცილებელი საკუთარ მოედანზე დარჩენა და საკუთარი თამაშის წესების შეთავაზება მათთვის, ვინც ინტერესს გამოიჩენს ჩვენ მიმართ. დღეს უნდა გავერთიანდეთ, როგორც არასოდეს და საქართველოს ბედის უცხო ქვეყნების მიერ დამახინჯებულ პრიზმაში გატარების უფლება არავის მივცეთ.

- ტრამპის გაპრეზიდენტებას ოპოზიციაც და პოზიციაც იმედებით ხვდება...

„ომს საქართველო ვერ გაუძლებს. აქედანვე ცხადია, იქიდან განადგურებულები გამოვალთ. თითოეულს ატომი რომ გვეჭიროს ხელში, მაინც ვერ გავუმკლავდებით ამხელა ძალას. ხომ ხედავთ, მთელი მსოფლიო ებრძვის რუსეთს და ვერაფერს გახდა. თავიდან რომ გვეგონა, უკრაინა იმარჯვებდა, ახლა კაპიტულაციის უმძიმეს პირობებზეც თანახმაა

- არა, რა იმედი, ოპოზიციას ისე ჰყავს ტრამპი ნაგინები, რომ მიკვირს, ახლა როგორ ახსენებენ მის გვარს. სააკაშვილი მას პუტინისტს ეძახდა და ივანიშვილმა მოისყიდაო, ამბობდა. ეს ყველაფერი არქივშია. ჩვენ გვინდოდა ტრამპის გამარჯვება იმიტომ, რომ კონსერვატორია და პატივს სცემს ოჯახურ ფასეულობებს... თან ომის დასრულებას აპირებს, რაც ჩვენი საშველი იქნება. აღარ მოგვთხოვენ მეორე ფრონტის გახსნას, ზეწოლაც მოიხსნება და ეს ხალხიც დამშვიდდება, საერთაშორისო იზოლაციას გადავრჩებით, მაგრამ 20 იანვრამდე უნდა მოვითმინოთ. ამ დროს ხომ უნდა გადაგორება? რაღაცნაირად უნდა გადავრჩეთ.

- მიტინგების დარბევაზე რას იტყვით?

- თუ ვინმეს ხელს არ აძლევს არეულობა, ეს მთავრობაა. რომ უნდოდეს, საკუთარ მომხრეებს მოუწოდებდა და გადაიჭედებოდა საქართველოს ყველა ქალაქი, არსად გამგზავრება არ მოგვიწევდა, უბრალოდ, იქ დავდგებოდით, სადაც ვცხოვრობთ და დავანახებდით მსოფლიოს, რა არჩევანი გაკეთდა 26 ოქტომბერს... ჩვენ ნერვებს ვთოკავთ, თავს ვიკავებთ, რადგან ხელისუფლება მოგვიწოდებს სიმშვიდისა და გონივრული მოლოდინისკენ, ხელს არ აძლევს სამოქალაქო დაპირისპირება. რა ჰგონიათ, რუსთაველზე გასული რამდენიმე ათასი კაცია საქართველო? არ არის ტყუილი, მსხვერპლს რომ ითხოვენ, ეს ცემა-ტყეპა კამერების წინ მათი მეშვეობით ხდება. რა ჰგონიათ, 9 აპრილი კვლავ იქნება?! მაშინ ხალხი იდეისთვის იბრძოდა და არა პირადი მიზნებისთვის. ხდება ძალის გადამეტებაც, რაც არაფრით უნდა დაუშვან. მეორე მხრივ - როდესაც პარლამენტზე შტურმით მიდიხარ, შეგიშვებენ?! კაპიტოლიუმზე რომ მიიტანეს იერიში, ცეცხლი გაუხსნა პოლიციამ მომიტინგებს, მსხვერპლი იყო... აქ კი 48 ოთახი გამოშიგნეს და დაამტვრიეს! ძალას გამოიყენებდა პატრული, აბა, რას იზამდა?! პარლამენტში შეჭრის უფლებას ოპოზიციას ვინ მისცემდა?!.. მაგრამ მაინც მეტი სიფრთხილე გვმართებს ორივე მხარეს, რადგან ძალიან პატარა ქვეყნის შვილები ვართ. მთავარია, არ ჩავიკარგოთ სიძულვილში, უკადრისს ნუ ვაკადრებთ ერთმანეთს, ტყვიაზე უარესია ცუდი სიტყვა... საქართველოს გადარჩენის გზები იქნებ სხვადასხვანაირად წარმოგვიდგენია, მაგრამ ამის გამო სიძულვილს ნუ დავთესავთ, უახლოეს მეგობრებს ნუ დავკარგავთ, ოჯახებს ნუ დავშლით. თუ ერთმანეთის სიყვარულს და პატივისცემას დავკარგავთ, გინდ ევროპაში ვყოფილვართ და გინდ არ ვყოფილვართ საერთოდ. მოვუსმინოთ, პატივი ვცეთ ერთმანეთის აზრს და იქნებ ერთად შევუნარჩუნოთ საქართველო ჩვენს მომავალ თაობებს.

„აქციებს მართავს დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებული და გაზრდილი ახალგაზრდა თაობა“

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

გთავაზობთ ინტერვიუს ***ზურაბ ცეცხლაძესთან*** *- ადვოკატსა და სამართლის მაგისტრთან, რომელიც საუბრობს საქართველოს ყოფილი და ახალარჩეული პრეზიდენტების, აქციების, კონსტიტუციის ჩარჩოებში დაბრუნების, არჩევნების გაყალბების, პოლიტპატიმრების და ორხელისუფლებიანობის შესახებ.*



- დავიწყოთ ახალი პრეზიდენტით - რამდენად მისაღებად მიგაჩნიათ მისი არჩევა?

- ფორმულირება „ახალი პრეზიდენტი“ არასწორად მიმაჩნია. მას შეიძლება ეწოდოს „არალეგიტიმური პრეზიდენტი“, ვინაიდან არჩეულია არალეგიტიმური პარლამენტის მიერ, რომელიც არ ცნო არცერთმა ევროპულმა, დასავლურმა ცივილიზებულმა სახელმწიფომ და არც ამ სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა. არალეგიტიმური პარლამენტის და მთავრობის შემდეგ, უმაღლესი განათლების არმქონე დე ფაქტო პრეზიდენტი კიდევ ერთი მავნებლობაა ქვეყნის წინაშე, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს შეუქცევად პროცესებამდე, რომლის მსგავსი ერთხელ უკვე გამოვიარეთ 90-იან წლებში, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ფაქტობრივი დაკარგვით რომ დასრულდა.

- თუკი არალეგიტიმურია ყაველაშვილი, არალეგიტიმურია ზურაბიშვილიც, რადგან ყავლი გაუვიდა, მაგრამ თავს ისევ პრეზიდენტად აცხადებს...

- სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობას რაც შეეხება, იგი, ყველაფერთან ერთად, საერთო სახალხო არჩევნების გზითაა არჩეული და აქვს საქართველოს მოსახლეობის მანდატი. იგი დღეს წარმოადგენს სახელმწიფოში ერთადერთ ლეგიტიმურ სახელმწიფო ორგანოს, რომლის ვადაც გაგრძელდება, ვიდრე სახელმწიფო არ დაბრუნდება კონსტიტუციურ ჩარჩოებში... ვგულისხმობ არალეგიტიმური პარლამენტისა და მთავრობის მხრიდან საქართველოს კონსტიტუციის არაერთხელ დარღვევას.

- თუ შეიძლება, დააკონკრეტეთ, რას თვლით დარღვევად?

- დარღვევა იყო, როცა პრეზიდენტმა კი არა, თავად პარლამენტმა მოიწვია პირველი სხდომა, რის შემდეგაც ამ პარლამენტს თვითმარქვია ეწოდება, არალეგიტიმურთან ერთად. კონსტიტუციაში ვერ ნახავთ ვერცერთ ჩანაწერს, როგორ უნდა დარეგულირდეს სამართლებრივი მდგომარეობა, თუ პარლამენტის პირველი სხდომა პრეზიდენტმა არ მოიწვია. ეს, ცხადია, კონსტიტუციის ხარვეზია, მაგრამ დღეს მოცემულობა ასეთია და როგორი ჩანაწერიც არის, იმით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ამჟამინდელი კონსტიტუციის ავტორი თავად კობახიძეა და თავის დროზე უნდა დაფიქრებულიყო ამ საკითხის კონსტიტუციურ დარეგულირებაზე.

- როგორც თქვენი ოპონენტები ამტკიცებენ, ასეთ დროს საარჩევნო კოდექსი გამოიყენება.

- ამასთან დაკავშირებითაც შემიძლია გითხრათ, რომ საარჩევნო კოდექსიც პირიქით - მოქმედი პრეზიდენტის სასარგებლოდ არეგულირებს სამართლებრივ პროცესს. დღეს ლეგიტიმურ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ გავუფრთხილდეთ, რადგან ეს არის ქვეყნის კონსტიტუციურ ჩარჩოებში დაბრუნების ერთადერთი კანონიერი გზა. ამის გაკეთება დღეს მხოლოდ ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს შეუძლია. თუ ამ შანსს არ გამოიყენებს საქართველო, ქვეყანაში შეიძლება არაპროგნოზირებადი პროცესები განვითარდეს.

- რას იტყვით აქციებზე? რატომ აცხადებს მთავრობა, რომ ახალგაზრდები ოპოზიციური ძალების და უცხო ქვეყნების აგენტურული ინსტრუქციებით იმართებიან?

- დღევანდელი აქციები არის ძველი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაგრძელება, რომელიც არ დასრულებულა მაშინ. სანამ არსებობს რუსული საფრთხე, არ შეიძლება ეროვნული მოძრაობის შეჩერება. დღევანდელი ახალგაზრდობა წარმოადგენს მის ფლაგმანს და არაფერი აქვს საერთო არც პოლიტიკურ პარტიებთან და არც უცხო ქვეყნების აგენტურასთან. ბრძოლის ხაზი გადის ქვეყნის დამოუკიდებლობაზე, რამეთუ არსებობს მისი სუვერენიტეტის დაკარგვის რეალური საფრთხე. საქართველოს დე ფაქტო ხელისუფლება აშკარად ანტიევროპულ და ანტიდასავლურ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდა, შესაბამისად, ამ პირობებში ჩვენი ქვეყანა ევროკავშირის წევრი ვერ გახდება. ამას აცნობიერებს ქვეყნის ჯანსაღი, პროევროპული ახალგაზრდობა და თავდადებით იბრძვის ევროპული მომავლისათვის. რაც შეეხება აგენტურას, ეს შეთქმულების თეორიებია, რასაც რეალობასთან კავშირი არ აქვს.

- რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ახალი არჩევნების დანიშვნა?

- ახალი არჩევნების დანიშვნა არის აბსოლუტურად რეალური, ვინაიდან გვაქვს მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური კრიზისი, გვყავს ხელისუფლება, რომლის ლეგიტიმაციასაც არ ცნობს ცივილიზებული სამყაროს უმეტესი ქვეყნები. თუ ასე გაგრძელდა, მოსალოდნელია ეკონომიკური კოლაფსიც. საქართველო კარგავს მდიდარ სტრატეგიულ პარტნიორებს, თავისთავად აღარ შემოვა ინვესტიციები, რაც გამოიწვევს სავალუტო ჩამოშლას, ქართული ლარის გაუფასურებას და მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის დაკარგვას. შედეგად, პოლიტიკურ კრიზისს უახლოეს მომავალში ეკონომიკური კრიზისიც დაემატება, რაც ავტომატურად წარმოქმნის ახალი არჩევნების საჭიროებას, მით უფრო, რომ ნახევარი საქართველო ამ მოთხოვნით დგას ქუჩაში თითქმის ერთი თვეა, მათ შორის - საჯარო მოხელეებიც, ქვეყნის ინტელიგენცია, განათლების, ხელოვნებისა და სპორტის მუშაკები, ბიზნესმენები... აქვე ხაზს ვუსვამ, რომ აქციებს მართავს დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებული და გაზრდილი ახალგაზრდა თაობა, რომელიც ქვეყნის ევროპულ მომავალს არავის დაუთმობს. მოკლედ, ვადამდელი არჩევნები აუცილებლად ჩატარდება ადრე თუ ცოტა მოგვიანებით, გააჩნია „ოცნების“ გაჯიუტების ხარისხს.

- ფიქრობთ თუ არა, რომ ამ მთავრობის გადადგომის შემთხვევაში ხელისუფლებას კვლავ სააკაშვილი დაეუფლება?

- დღეს ჩვენი ქვეყნის მოცემულობა ასეთია: აქეთ მხარეს დგას არალეგიტიმური პარლამენტი თვითმარქვია მთავრობით, ხოლო საპირისპიროდ - ლეგიტიმური, ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი. ამჟამინდელი სახალხო პროტესტი მიმართული არ არის „ოცნების“ დე ფაქტო მთავრობის გადადგომის და ახალი ხელისუფლების მოყვანისკენ, მოთხოვნა შემდეგია: არალეგიტიმურმა ხელისუფლებამ უნდა გააუქმოს მის მიერ მიღებული ყველა ანტიკონსტიტუციური სამართლებრივი აქტი, ხოლო 2024 წლის 26 ოქტომბრამდე არსებულმა „ოცნების“ კანონიერმა ხელისუფლებამ უნდა დანიშნოს ახალი არჩევნები. ამ არჩევნებში გამარჯვებული პარტია ან კოალიცია ჩამოაყალიბებს მთავრობას. პროევროპული ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში ამოქმედდება პრეზიდენტის ცნობილი ქარტია და განხორციელდება პილიტიკური პროცესები ქვეყანაში. არანაირი შანსი არ აქვს არც „ნაციონალურ მოძრაობას“ ცალკე და არც სააკაშვილს - მოვიდნენ ხელისუფლებაში. ამას არ დაუშვებს ქართველი ხალხი. ბოლოს ჩატარებულმა გაყალბებულმა არჩევნებმაც კი აჩვენა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ აღარ არის პირველი ოპოზიციური ძალა, შესაბამისად, სააკაშვილი ვერ გახდება ამ ქვეყნის პირველი პირი. ამის რესურსი მის პარტიას აღარ აქვს. საკითხის პოპულარიზაციას ახდენს „ქართული ოცნების“ პარტია მოსახლეობის დასაშინებლად. სააკაშვილიც და ივანიშვილიც ერთნაირად მიუღებელია საქართველოს მოსახლეობისთვის. რაც უფრო ადრე ჩამოვაშორებთ ორივეს ქართულ პოლიტიკას, მით ადრე ამოისუნთქავს ქვეყანა და დაადგება განვითარების გზას.

- არის თუ არა მოსალოდნელი ორხელისუფლებიანობა?

- დღეის მდგომარეობით ქვეყანაში ყველა პირობაა საიმისოდ, რომ 2024 წლის 29 დეკემბრის შემდეგ მივიღოთ ორხელისუფლებიანობა, თუ ხალხის მიერ არჩეულმა ლეგიტიმურმა პრეზიდენტმა არ დათმო თავისი მანდატი და არ გადააბარა უფლებამოსილება „ოცნების“ მიერ დასმულ არალეგიტიმურ პრეზიდენტს. ამ დროს ქვეყანას ეყოლება დე ფაქტო ძალაუფლების მქონე პრეზიდენტი და დე იურე ლეგიტიმური პრეზიდენტი, რომლის მიერ გადადგმული შემდგომი ნაბიჯები, დიდწილად, განსაზღვრავს ამ ქვეყნის მომავალს. ჯერ არ ვიცით, რა გეგმები აქვს და რას გააკეთებს კანონიერი პრეზიდენტი, ამიტომ წინასწარ რამის პროგნოზირება რთულია, მით უფრო, რომ ჩვენი პარტნიორი ევროკავშირის ქვეყნები და ამერიკაც აცხადებენ - კანონიერ პრეზიდენტად ცნობენ და აღიარებენ სალომე ზურაბიშვილს. არსებობს მეორე სცენარიც: ქვეყანაში მოქმედი არალეგიტიმური ხელისუფლება თავისი ძალოვნების გამოყენებით განახორციელებს რეზიდენციიდან ლეგიტიმური პრეზიდენტის იძულებით გამოყვანას, არ არის გამორიცხული დაპატიმრებაც, გააჩნია, როგორ დავალებას მიიღებენ რუსეთიდან. ამ დროს, ვფიქრობ, გამწვავდება ქუჩის პროტესტები, გაძლიერდება სამოქალაქო დაუმორჩილებლობა. შესაძლებელია, ქვეყანაში განვითარდეს რევოლუციური პროცესები, ხოლო რას მოიტანს რევოლუცია, ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება. ამ დროს მნიშვნელოვანი იქნება დასავლელი პარტნიორების პოზიცია. თუ ისინი მარტო შეშფოთება-აღშფოთებით არ შემოიფარგლებიან და სანქციებს აამოქმედებენ, შესაძლებელია, გაჯიუტებული დე ფაქტო ხელისუფლება ახალ არჩევნებს დათანხმდეს. სანქციები უნდა შეეხოს ეკონომიკას, ანგარიშების გაყინვას, ქონების ჩამორთმევას... აქედან გამოსავალი კი, ისევ და ისევ, ახალი არჩევნები იქნება, რადგან ამაზე უკეთესი ჯერ არაფერი მოუფიქრებია კაცობრიობას.

- ყველაზე მეტად რაზე შეგტკივათ გული ამ ვითარებაში?

- ზუსტად 35 წელია, ქუჩის პროტესტებში ვმონაწილეობ და ვერასოდეს წარმოვიდგენდი, 1991-ში ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობისა და შევარდნაძის უკანონო ხელისუფლების შემდეგ, ჩვენი ქვეყანა ისევ არალეგიტიმური ხელისუფლების პრობლემებში გაეხვეოდა. მაშინ მტერმა გამოიყენა მომენტი - წაგვართვა აფხაზეთი და სამაჩაბლო. გამორიცხული არ არის, ახლაც გამოიყენოს ხელისუფლების არალეგიტიმურობა და სხვა სერიოზული ტერიტორიული პრობლემებიც შეუქმნას ქვეყანას. გული მწყდება, რომ 2012 წლიდან 2024 წლის გაზაფხულამდე, ვიდრე „რუსულ“ კანონს ხელახლა დააინიცირებდა საქართველოს პარლამენტი, ვირიცხებოდი „ოცნების“ მხარდამჭერთა რიგებში, ვინაიდან ჩემმა ოჯახმა საკუთარ თავზე იწვნია წინა ხელისუფლების რეპრესიები. კერძოდ, მე უკანონოდ გამათავისუფლეს ბათუმის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის თანამდებობიდან, ჩემი და - მოსამართლის თანამდებობიდან, ჩემი ძმა - მერიის ადმინისტრაციის სამსახურიდან, ჩემი კიდევ ერთი - მოსამართლის გამოცდაჩაბარებული ძმა კი არ დანიშნეს მოსამართლედ. ჩვენთვის 2012 წლამდე ყველა სამსახური დაკეტილი იყო. „ოცნების“ ხელისუფლება მოვიდა ჰუმანიზმის იდეით, ლიბერალური კანონების მიღების დაპირებით, რაც არ შეასრულა. დღეს, ისე, როგორც არასდროს, საჭიროა ერის კონსოლიდაცია ქვეყანაში დემოკრატიის დასაცავად. ერთად უნდა დავდგეთ, რათა მივაღწიოთ ახალ, სამართლიან არჩევნებს. ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო მოხელეების პოზიციას. არ შეგეშინდეთ, დადექით ხალხის მხარეს. დიქტატურის საფრთხე აბსოლუტურად რეალურია. დღეს უკვე გვყავს პოლიტპატიმრები და სინდისის პატიმრები, რომელთა შორისაა ჩემი შვილი ზვიად ცეცხლაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი. ის და სხვა ახალგაზრდები დღეს ისჯებიან პატრიოტიზმისთვის, სამშობლოს უანგარო სიყვარულისა და თავდადებისთვის. ამ ახალგაზრდების დასახსნელად, იმისთვის, რომ თქვენს ოჯახებშიც არ შემოვიდეს მსგავსი უბედურება, ერმაც და ბერმაც უნდა მოვითხოვოთ ახალი არჩევნები და საქართველო მშვიდობიანი გზით გამოვიყვანოთ პოლიტიკური კრიზისიდან.

> *„ამჟამინდელი სახალხო პროტესტი მიმართული არ არის „ოცნების“ დე ფაქტო მთავრობის გადადგომის და ახალი ხელისუფლების მოყვანისკენ, მოთხოვნა შემდეგია: არალეგიტიმურმა ხელისუფლებამ უნდა გააუქმოს მის მიერ მიღებული ყველა ანტიკონსტიტუციური სამართლებრივი აქტი, ხოლო 2024 წლის 26 ოქტომბრამდე არსებულმა „ოცნების“ კანონიერმა ხელისუფლებამ უნდა დანიშნოს ახალი არჩევნები*

თუ პოლიტიკური სიტუაცია არ დასტაბილურდა...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საქართველოს პოლიტიკურ არენაზე სიახლეა - საარჩევნო კოლეგიამ ქვეყნის მეექვსე პრეზიდენტად მიხეილ ყაველაშვილი აირჩია, რომლის კანონიერებას ოპოზიცია არ აღიარებს. ამასთან, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებსა და მის ლეგიტიმაციასთან დაკავშირებული საპროტესტო აქციები კვლავ მიმდინარეობს. საზოგადოებაში გრძელდება ურთიერთდაპირისპირება და პოლარიზება

პროცესების როგორი განვითარებაა მოსალოდნელი? - ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრეთ „კოალიცია ცვლილებისთვის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთ ლიდერ ***ლევან გორგილაძეს.***

- საუბარი უახლესი ამბით დავიწყოთ: მმართველი პარტიის კანდიდატურა ხმოსნებმა პრეზიდენტად აირჩიეს. ყოფილი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, ასევე, ოპოზიცია, არსებულ ხელისუფლებას არ აღიარებენ.

- აირჩიეს?! ეს ცოტა გადაჭარბებულად ნათქვამია. სამწუხაროდ, ვემსგავსებით რუსეთს, ბელარუსს, სადაც დემოკრატია არ არსებობს. თუ ეს სტატუს-კვო შეინარჩუნა ამ ხელისუფლებამ, ნამდვილად დავემსგავსებით ხსენებულ დიქტატორულ ქვეყნებს. რა სიმბოლურია - პრეზიდენტი აირჩიეს იმ ადამიანებმა, რომლებმაც საღამოს საახალწლო ნაძვის ხის განათებაც კი ვერ გაბედეს. ჩვენ ხელისუფლება არ გვყავს, ამიტომაც ვეძახით მას ეგრეთ წოდებულ ხელისუფლებას.

- ექსპერტები აცხადებენ, რომ თუ არ მოხდება არჩევნების ლეგიტიმაცია დასავლეთის მიერ, ქვეყანა იზოლაციაში მოექცევა...

- დიახ, იზოლაციაში ექცევა ხელისუფლება, და ეს ლოგიკურია. ის, რომ ლეგიტიმაცია დასავლეთის მხრიდან მმართველ გუნდს ამ არჩევნებთან დაკავშირებით არ ექნება, ცხადია. ამ შემთხვევაში, იზოლაცია ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ იქნება ყველაფერზე პასუხისმგებელი. სწორედ ამ იზოლაციის, ამ უკუსვლის პირობებში მოუწევთ მათ უკან დახევა. რა ვითარება გვაქვს დღეს ქვეყანაში? 23 ქალაქშია პროტესტი გაჩაღებული, თუმცა, მთლიანობაში, მაინც დედაქალაქში წყდება მთავარი საქმე. ქვეყნის ბედი და არსებული მთავრობის არაღიარება დასავლეთის მხრიდან, რა თქმა უნდა, შენარჩუნდება. დასავლელ პარტნიორებს კარგად ავუხსენით, თუ როგორ ჩატარდა არჩევნები, რა მდგომარეობა იყო ქვეყანაში არჩევნების დღეს. ამიტომ ეს ყველაფერი მოგვცემს იმას, რომ არაღიარება შენარჩუნდება, პროტესტი გაგრძელდება და მმართველ გუნდს უკან დახევა მოუწევს.

- სხვათა შორის, მმართველი გუნდის წევრები აცხადებენ, რომ აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან დალაგდება ურთიერთობა...

- ეს კიდევ ცალკე პარადოქსია. ტრამპის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ აღფრთოვანებული მმართველი გუნდის წევრები რომ ვიხილეთ, მე პირადად მხოლოდ ღიმილი მოგვარა ამან. ჯერ ერთი, აშშ დემოკრატიული ქვეყანაა, იქ იციან დემოკრატიის ფასი. ვინც არ უნდა იყოს ამერიკის პრეზიდენტი, ის დემოკრატიული ფასეულობების უპირველესი დამცველი და გამტარებელია; და მეორე: სამართლე არის ერთადერთი - „ოცნებამ“ საქართველოში დემოკრატია მოკლა, ქართველ ხალხს არჩევნების უფლება წაართვა, ამიტომ ვერც ტრამპი და ვერც ბაიდენი აღიარებს ამ არჩევნებს. გუშინდელმა განცხადებამაც დაადასტურა ეს - ჯო უილსონმა, რომელიც ტრამპს წარმოადგენს კონგრესში, განაცხადა, რომ საქართველოში ლეგიტიმურ პრეზიდენტად სალომე ზურაბიშვილი რჩება და, მისივე თქმით, უნდა ჩაინიშნოს ახალი არჩევნები. საგულისხმოა ისიც, რომ უილსონი ტრამპის ადმინისტრაციაში მაღალ თანამდებობას დაიკავებს. ასე რომ, შეიძლება ჩავთვალოთ, ამ შემთხვევაში ტრამპი ჯო უილსონის სახელით გვესაუბრება და ეს სისრულეში მოვა. ამიტომ, მმართველი გუნდის მსგავსი განცხადება, რომ ტრამპი მათ შეუმსუბუქებს მდგომარეობას, ცხადია, არადამჯერებელია.

- ვხედავთ, რომ ქვეყანაში პროტესტი არ წყდება. პროცესების როგორ განვითარებას ელოდებით?

- ქვეყანა მოიცვა უდიდესმა პროტესტმა, სხვადასხვა ქალაქში იმართება აქციები, აღარ დარჩა უწყება, სადაც პროტესტი არ გამოეთქვათ. დასავლეთიდან არაღიარება ნარჩუნდება და ეს გვაძლევს შესაძლებლობას, ვივარაუდოთ, რომ მმართველ ძალას რესურსი მაქსიმალურად ეწურება. მათი მხრიდან რეპრესიებიც ამითაა განპირობებული - რა მოიმოქმედონ, აღარ იციან, ამიტომ მაქსიმალურ დაშინებაზე არიან გადასულნი, თუმცა ვხედავთ: რამდენჯერაც იძალადეს ადამიანებზე, მით უფრო გაიზარდა საპროტესტო მუხტი, მით მეტი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში. დიახ, ეს პოლიტიკური დუღილის პროცესია ჩვენი მხრიდანაც და მათი მხრიდანაც. ჩანს, რომ მმართველი გუნდი უფრო მალე დაიღლება, რადგან რღვევის ნიშნები თავს იჩენს, კერძოდ, ზოგი სამართალდამცავი და სხვა უწყებების წარმომადგენლები ცდილობენ, გაეცალონ ამ პროტესტს, მრავალი განცხადება დაიწერა სამსახურის დატოვების შესახებ. ზოგი დააკმაყოფილეს, ზოგი - არა, თუმცა ვხედავთ, რომ პროცესი უწყვეტია. ამიტომ ახლა მთავარია გამძლეობა. ჩვენ ვაცნობიერებთ, რა რისკის წინაშე ვდგავართ და დანებებას არ ვაპირებთ.

- მმართველი პარტიის წევრები იმასაც ამბობენ, ოპოზიციის მიზანი მთავრობის დამხობაა...

- ჩვენი კოალიციის ერთ-ერთი სლოგანია „ცვლილება“ და „ჩანაცვლება“. კარგად ვითავისებთ, რომ არათუ სკამზე მჯდომი ადამიანი უნდა ჩავანაცვლოთ, არამედ რეალური ცვლილება უნდა მოხდეს. რეალური ცვლილება ნიშნავს, რომ სასამართლო რეფორმა უნდა გატარდეს, საარჩევნო რეფორმა უნდა განხორციელდეს, სასამართლოში შესულ ადამიანს არ უნდა დარჩეს უსამართლობის განცდა. საარჩევნო რეფორმა იმისთვისაა საჭირო, თითოეულმა ადამიანმა იგრძნოს, რომ მისი ერთი ხმა გადამწყვეტია. მოკლედ, მრავალმხრივი რეფორმაა გასატარებელი. მმართველ პარტიას სხვა არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ დაგვაბრალოს ქვეყნის საზიანო ქმედებები, არადა, ჩვენი მიზანი რეალური ცვლილებაა ქვეყანაში, ვიბრძვით, ჩვენი მომავალი ევროპული რომ იყოს.

- ოპოზიცია არ აპირებს პარლამენტში საქმიანობას, მმართველ გუნდს გამოეყო „ხალხის ძალა“. მათი თქმით, ეს პარტია კონსტრუქციული ოპოზიცია იქნება...

- „ხალხის ძალა“ ერთხელ „გამოეყო“ მმართველ პარტიას. შემდეგ, როცა დასჭირდა, გაერთიანდნენ. მოკლედ, როგორც სჭირდებათ, ისე ჭრიან და კერავენ. ახლა დასჭირდათ და... შექმნეს ფსევდოოპოზიცია „ხალხის ძალის“ სახით, მოჩვენებითი პრეზიდენტი ჰყავთ ყაველაშვილის სახით. ეს დიდხანს ვერ გაგრძელდება, ჩვენ ვხედავთ იმ რისკს, რის წინაშეც ვდგავართ. ასე ხალხის აბუჩად აგდების უფლებას ვერ მივცემთ ამ ხელისუფლებას, ამიტომაც ვიბრძვით მის წინააღმდეგ.

- ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ ლიდერი, რომელსაც შეუძლია პასუხისმგებლობის აღება, ოპოზიციაში არ ჩანს. რამდენად მოსალოდნელია, სალომე ზურაბიშვილი ამ პროტესტის ლიდერი გახდეს?

- სალომე ზურაბიშვილი უკვე არის ამ პროტესტის ლიდერი. მან ბევრი გააკეთა, რათა ემხილებინა მმართველი პარტია, რომელიც რუსეთისკენ მიმავალ გზას დაადგა. საერთოდ, ყველა ადამიანი, ვინც რუსთაველზე იყო და სხვადასხვა ქალაქში აპროტესტებდა მმართველი პარტიის ქმედებებს, ამ პროტესტების ლიდერია, განსაკუთრებით - ახალგაზრდები. სათქმელია ისიც, რომ პოლიტიკოსებისადმი მიუღებლობა გაქრა, ჩვენ ყველა ვართ ამ პროტესტის ლიდერები, ერთად უნდა მივაღწიოთ გამარჯვებას, აქედანვე უნდა მივეჩვიოთ კოალიციურ რეჟიმში თანამშრომლობას, ანუ ერთობლივად მუშაობას და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კიდევ უფრო გაგვიადვილდება თანამშრომლობა.

- პროტესტის მიზეზი, გარკვეულწილად, ხელისუფლების განცხადება გახდა ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების გახსნის გადადების თაობაზე, თუმცა მმართველი პარტია ამბობს, რომ რეალურად პროცესი ევროკავშირმა შეაჩერა...

- ევროკავშირმა კი არ შეაჩერა საქართველოსთან ურთიერთობა, არამედ ევროკავშირმა გვითხრა, რომ თქვენ გყავთ ხელისუფლება, რომელმაც წაგართვათ არჩევნების უფლება, გადაუხვია დემოკრატიის გზას, ასევე გვითხრა, რომ რუსეთ-უკრაინის ომის მსვლელობისას ეს ხელისუფლება რუსეთს უჭერს მხარს და ასე პოზიციონირებს. მმართველი პარტია არათუ ამის გამოსწორებას შეეცადა, პირიქით - გადახვეული გზიდან კიდევ უფრო გადაუხვია: პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ევროკავშირს მიმართა საქართველოს საწინააღმდეგო განცხადებით. ამას მოჰყვა ლოგიკური პროტესტი იმიტომ, რომ თუ გვინდა უკეთესი მომავალი, ევროპულ გზას უნდა დავადგეთ და არა რუსულს, რასაც „ქართული ოცნება“ აკეთებს.

- უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ „მთავარ არხზე“ მიმდინარე პროცესებს...

- შეგახსენებთ, რომ „მთავარი არხი“ ცხრამეტ დღეში გაიხსნა. იქ მუშაობენ განსაკუთრებით პატრიოტი ადამიანები. წარმატებას ვუსურვებ მათ! იმედი მაქვს, ამ კრიზისსაც დაძლევენ. ზაზა ოქუაშვილი, როგორც აღმოჩნდა, ქვეყნის ისტორიაში ყველაზე გადამწყვეტ მომენტში ცდილობს თამაშიდან გასვლას. ჩემი აზრით, ამაში ბიძინა ივანიშვილის ხელი ურევია, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ ამ არხზე მომუშავე ადამიანები ყველაფერს გააკეთებენ, რათა მათი ხმა ქართველი ხალხის სასიკეთოდ ისმოდეს.

- დაბოლოს, თუ პოლიტიკური სიტუაცია არ მოგვარდა, რა უარყოფითი გავლენა ექნება ამას საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების თვალსაზრისით?

- დარწმუნებული ვარ, პოლიტიკური კრიზისი აღმოიფხვრება, რადგან ჩვენი მოსახლეობა არ შეეგუება უსამართლობას. არავინ აპირებს დე ფაქტო ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, თანაც დასავლეთიც ჩვენ გვერდითაა. უკვე ამოქმედდა სანქციები. კერძოდ, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ხელისუფლების მიმართ სანქციები შემოიღეს... ცხადია, თუ პოლიტიკური კრიზისი არ დაიძლევა და ეს ხელისუფლება ძალაუფლებას შეინარჩუნებს, ჩვენი ქვეყანა არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდება როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. აღმოვჩნდებით რუსეთის ორბიტაში, რაც საქართველოს ევროპულ გზას დააშორებს და ამის დაშვება არაფრით შეიძლება, თუმცა ეს არის ყველაზე ცუდი ალბათობა. მჯერა, ისეთი ადამიანები არიან გარეთ, იმხელა მხარდაჭერა გვაქვს მოსახლეობისგან და პლუს - დასავლეთისგან არაღიარება არჩევნებთან დაკავშირებით, რომ მოვლენები უკეთესობისკენ წარიმართება და თავს გავართმევთ ამ ურთულეს, მწვავე ვითარებას.

> ***„სალომე ზურაბიშვილი უკვე არის ამ პროტესტის ლიდერი. მან ბევრი გააკეთა, რათა ემხილებინა მმართველი პარტია, რომელიც რუსეთისკენ მიმავალ გზას დაადგა. საერთოდ, ყველა ადამიანი, ვინც რუსთაველზე იყო და სხვადასხვა ქალაქში აპროტესტებდა მმართველი პარტიის ქმედებებს, ამ პროტესტების ლიდერია, განსაკუთრებით - ახალგაზრდები. სათქმელია ისიც, რომ პოლიტიკოსებისადმი მიუღებლობა გაქრა, ჩვენ ყველა ვართ ამ პროტესტის ლიდერები, ერთად უნდა მივაღწიოთ გამარჯვებას***

„სხვა შემთხვევაში, ჩვენ დავკარგავთ პროგრესულ მომავალს და ვიქნებით იმ ქვეყნების ჩამონათვალში, სადაც დიქტატურაა“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

საყოველთაო პროტესტიდან, რომელიც ქვეყნის მასშტაბით თითქმის ყველა ქალაქში მიმდინარეობს, 21 დღე გავიდა. ბათუმი ერთ-ერთი მოწინავე ქალაქია, სადაც ყოველ საღამოს იმართება აქციები, რითაც მოქალაქეები სოლიდარობას უცხადებენ თბილისის მთავარ გამზირზე შეკრებილ თანამოაზრეებს, რომლებსაც „ოცნების“ მიმართ 2 მოთხოვნა აქვთ: ხელახალი არჩევნები და 28 ნოემბრიდან, აქციების განმავლობაში დაპატიმრებული ახალგაზრდების გათავისუფლება

„თავისუფლება - რეჟიმის პატიმრებს“ - ისმის მთელი ქვეყნის მასშტაბით მომიტინგეების ხმა. აქციებს ყოველდღიურად სხვადასხვა პროფესიის ადამიანები უერთდებიან. ბათუმში ვიხილეთ მეზღვაურების პროტესტი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ევროკავშირთან ურთიერთობის გაწყვეტა დიდ პრობლემებს შეუქმნის როგორც მთელ ქვეყანას, ისე, კონკრეტულად, მათ, რადგან გაუჭირდებათ ევროპულ კომპანიებში დასაქმება და დარჩებიან უმუშევრები.

პროტესტის ტალღას შეუერთდა ბათუმში არსებული საჯარო და კერძო სკოლების მასწავლებელთა ნაწილი. მათ, სიმბოლურად, შეკრების ადგილად ილია ჭავჭავაძის ძეგლი აირჩიეს, შემდეგ კი მარშით გადაინაცვლეს მთავრობის სახლთან მიმდინარე მშვიდობიანი აქციისკენ ტრანსპარანტებით - „მასწავლებელი ევროპული განათლების საწყისია“, „მინდა უსაფრთხო გარემო“, „მინდა გამოხატვის თავისუფლება“, „მინდა დაცული იყოს ყველა ბავშვი“, „მინდა ხარისხიანი განათლება“, „არ შევეგუებით ბავშვებზე მოძალადე რუსულ რეჟიმს“.

- ჩემი მოსწავლეები კლასგარეშე საკითხავად დისტოპიურ რომანებსაც კითხულობენ და ჩვენ, ყველას ერთად, გვაქვს განცდა, რომ ვართ დისტოპიური რომანების პერსონაჟები, რაც ნამდვილად არ გვსურს. ამიტომ ყველა შესაძლო მშვიდობიანი ხერხით ვეცდებით, ხმა მივაწვდინოთ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დამყარდეს ჭეშმარიტი მშვიდობა, გვქონდეს თავისუფლების განცდა და ეს იყოს ნამდვილი თავისუფლება, კეთილდღეობა, სვლა ევროპისკენ. ჩვენი მომავალი ნამდვილად ევროპაშია. მასწავლებლები ვემიჯნებით ყოველგვარ ძალადობას და მივისწრაფით თავისუფლებისკენ, - გვითხრა ბათუმის მეექვსე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა თინათინ გიორგაძემ.

გაზეთ „აჭარასთან“ ასევე ისაუბრა 2022 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს გამარჯვებულმა, ინგლისური ენის პედაგოგმა როლანდ შავაძემ. მისი განცხადებით, ძალიან კარგად ესმის მასწავლებელს, რა პროცესები გამოიწვია ქვეყანაში ხელისუფლებამ, რადგან მათ კარგათ იციან ყველა იმ სიკეთის შესახებ, ევროპისა თუ ამერიკის დახმარებით არაერთხელ რომ ისარგებლეს, პროგრამებისა თუ პროექტების შესახებ, რომელთა საშუალებითაც არაერთი პედაგოგი თუ მოსწავლე იმყოფებოდა ევროპის ამა თუ იმ ქვეყანაში.

იხ. მე-8 გვ.

„ჩემთვის დიდი პატივი იყო კოლეგიის 225 წევრს შორის ყოფნა“

მიმავალი წელი შუახევის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი მოვლენებით იყო გამორჩეული. შესამჩნევი იყო სოციალური, ეკონომიკური და კულტურული წინსვლა. პირველად ქვეყნის ისტორიაში, საქართველოს მე-6 პრეზიდენტი საარჩევნო კოლეგიამ აირჩია, რომლის წევრთა შორის იყო შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე. იგი ჩვენი სტუმარია.

- პირველ რიგში, გეტყვით, რომ მომავალ წელს შუახევის მუნიციპალიტეტი 6 მილიონი ლარით გაზრდილი ბიუჯეტით იწყებს. წინა წლების მსგავსად, მნიშვნელოვანი ფინანსები, ანუ 31 მილიონი ლარი, მოხმარდება ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობას, იმ სოციალური, ეკონომიკური პროექტების, პროგრამების რეალიზებას, რაც ჩვენ წინაშეა დასახული. სახელფასო დანამატი ეზრდებათ ა(ა)იპ-ებსა და მმართველობით ორგანოებში დასაქმებულ მოხელეებს. კიდევ უფრო მომატებულია თანხები კულტურული და სპორტული ღონისძიებებისთვის. შუახევის კულტურის ცენტრთან არსებულმა ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა უცხოეთის რამდენიმე ქვეყანაში იქაურებს ქართული ცეკვა და სიმღერა გააცნეს. ახალი მიღწევებით ამდიდრებენ მონაგარს შუახეველი სპორტსმენები. სერიოზული შედეგები აქვთ მოჭიდავეებს, მორაგბეებს. ყოველივე ამაში დიდი როლი ითამაშა ახალი სპორტული დარბაზების ამოქმედებამ თუ მშენებლობამ, კვალიფიციური სპეციალისტებისა და მწვრთნელების მოზიდვამ. დაბის ცენტრში - ფეხბურთის სტადიონი, სოფლების ცენტრებსა და სკოლებთან - 23 მინისპორტული მოედანი, 17 სპორტული დარბაზი აქამდე შუახევში არ ყოფილა. მალე ფურტიოში თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი რაგბის მოედანი ამოქმედდება. არსებული ბაზა იმის საწინდარია, რომ მეტი ახალგაზრდა მოვიზიდოთ, რესპუბლიკური და საერთაშორისო დონის ტურნირები, ფესტივალები ჩავატაროთ. ყურადღების მიღმა არ გვრჩება მთის სოფლები და მისი მოსახლეობა. გაზრდილია სოციალური პროგრამების ბიუჯეტი. ახალი წლიდან კიდევ ერთი პროგრამა დაგვემატა. ბოლო დროს საზოგადოება ითხოვს სოფლების ცენტრების კეთილმოწყობას. ეს პროექტები და ყველა პროგრამა მოსახლეობის მოთხოვნების საფუძველზე შევიმუშავეთ საკრებულოს წევრების ჩართულობით. 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში რიგი ღონისძიებები ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე დაამატეს. ამ მოწვევის წარმომადგენლობითი ორგანო სამი წელია მოქმედებს და ერთი შემთხვევაც არ მახსოვს, რომ ბიუჯეტი ჩვენი ჩართულობით არ დამტკიცებულიყო.

- როგორაა ფუნქციები გადანაწილებული წარმომადგენლობით ორგანოში?

- სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი თითოეული პროექტი გარკვეულ ექსპერტიზას გადის. საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართულობა, მათი აზრის გათვალისწინებაც ხშირია. თავდაპირველად პროექტის ირგვლივ საკრებულოს ბიუროს, შემდეგ - დარგობრივი კომისიის სხდომებზე მსჯელობენ. საკრებულოს სხდომაზე უკვე დახვეწილი პროექტია განსახილველად გამოტანილი.

- ოპოზიციის ჩართულობაზე რას გვეტყვით?

- მათ რეპლიკებს განსახილველ პროექტთან დაკავშირებით ყოველთვის არგუმენტირებული ფაქტებით ვავსებთ. სათქმელი რომ აღარ აქვთ, დუმილს ამჯობინებენ, არც ბოიკოტი ავიწყდებათ.

- იმ კოლეგიის წევრთა შორის, რომელმაც ქვეყნის პრეზიდენტი 5 წლის ვადით აირჩია, თქვენც ბრძანდებოდით...

- თვითმმართველობის ორგანოებიდან

109 კოლეგიის წევრი მიგვიწვიეს. ზოგიერთი მუნიციპალიტეტიდან ორი წევრიც იყო დასახელებული მოსახლეობის რაოდენობისა და ამომრჩევლის გათვალისწინებით. საარჩევნო პროცედურებზე ყურადღებას ნაკლებად გავამახვილებ, რადგან პირდაპირი ეთერით რამდენიმე ტელევიზია გადასცემდა. საქართველოს პარლამენტის, აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოების წევრების არჩევანის შემდეგ ჩვენი ჯერიც დადგა. აჭარის წარმომადგენლების ორგანიზებულობა დადებითად შეფასდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ქვეყნის ისტორიაში თითოეულ ჩვენგანს ასეთი პატივი პირველად გვხვდა წილად. ჩემთვის დიდი პატივი იყო კოლეგიის 225 წევრს შორის ყოფნა.

- რამდენად სამართლიანია ოპოზიციის განცხადებები არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით?

- საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევამდეც ჩართული ვიყავი საარჩევნო ბატალიონში. მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანია დასამახსოვრებელი იყო. ვმართავდით შეხვედრებს, კარდაკარ დავდიოდით, რათა ამომრჩევლამდე მიგვეტანა მმართველი პარტიის კურსის მნიშვნელობა, გაკეთებული საქმეები და სამომავლო პროგრამა. ახლა ამომრჩევლები კიდეც გვაძალებენ, რომ მათაც მივცეთ უფლება, საჯაროდ დაიცვან ხმები, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების პოზიცია ქაოსისკენ კი არა, შერიგებისკენაა მიმართული. გულწრფელად გეტყვით, შუახევის არცერთ საარჩევნო უბანზე არჩევნების გაყალბების მცდელობა არ ყოფილა და ვერც იქნებოდა, ყველგან დამკვირვებლები იყვნენ მოვლინებულნი.

- სურვილები მომავალი წლისთვის?

- მეც ოჯახი მყავს. სიკეთე ოჯახიდან, თითოეული ჩვენგანის ქმედებიდან მოდის. ძლიერი, მადლზე დაფუძნებული ოჯახი ქვეყნის წარმატების საწინდარია. წარმომადგენლობითი ორგანოს გამართულ მუშაობაზე, ამომრჩეველთა ინტერესის დაკმაყოფილებაზე ბევრია დამოკიდებული. ფუჭად ვთვლი იმ დღეს, თუ 5 და მეტი მოქალაქე არ მაკითხავს საქვეყნო და თუნდაც პირადი პრობლემის მოსაგვარებლად. ერთხელ და სამუდამოდ ქვეყანამ უნდა აიცილოს დაპირისპირებები. 3-მილიონიან ერს მოუგვარებელი საკითხი არ უნდა გვქონდეს და თუ გვექნება, ცივილიზებული ფორმით მოვაგვაროთ. ზოგჯერ მშობელსაც უნდა მოუსმინონ შვილებმა. ქიშპობა, ბილწსიტყვაობა, ნოემბრის ბოლოდან მოყოლებული რომ ისმის, თითოეული ქართველის მეხსიერებაში უარყოფითად ილექება და როდის ამოხეთქავს, ვერავინ იტყვის. სამწუხაროდ, პოლიტიკოსები ქუჩაში მდგომ ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს აქეზებენ, თვითონ კი კულისებში იმალებიან. ყოველად გაუმართლებელია წარმატებული სპორტსმენების, სახელოვანი მწერლების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკების გაუთავებელი ლანძღვა. 26 ოქტომბერს თითოეულმა მოქალაქემ თავისი კონსტიტუციური მოვალეობა შეასრულა. ჩვენ პოზიცია-ოპოზიციის არჩევანს პატივი ვეცით. მომავალ წელს თვითმმართველობის არჩევნებია. ვისაც არსებული ხელისუფლება არ მოსწონს, მაშინ გააკეთოს თავისი არჩევანი. ჩვენ ტოლერანტი, დიდი ისტორიული წარსულის მქონე, ოჯახური სიწმინდის ერთგული ერი ვართ და ვისურვებდი, ამ სიწმინდეების მომავალშიც დაცვას. შევიქმნათ წინასაახალწლო განწყობა და ერს შერიგება-ერთსულოვნებისკენ მოვუწოდოთ.

> ***„ ფუჭად ვთვლი იმ დღეს, თუ 5 და მეტი მოქალაქე არ მაკითხავს საქვეყნო და თუნდაც პირადი პრობლემის მოსაგვარებლად. ერთხელ და სამუდამოდ ქვეყანამ უნდა აიცილოს დაპირისპირებები. 3-მილიონიან ერს მოუგვარებელი საკითხი არ უნდა გვქონდეს და თუ გვექნება, ცივილიზებული ფორმით მოვაგვაროთ. ზოგჯერ მშობელსაც უნდა მოუსმინონ შვილებმა. ქიშპობა, ბილწსიტყვაობა, ნოემბრის ბოლოდან მოყოლებული რომ ისმის, თითოეული ქართველის მეხსიერებაში უარყოფითად ილექება***

„ბიუჯეტი მოსახლეობის კეთილდღეობაზეა გათვლილი“

გია დავითაძე შუახევის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელია დაბა შუახევის ადმინისტრაციულ ერთეულში. იგი მიმავალ წელს აჯამებს და მომავალ გეგმებზე საუბრობს

- კიდევ რამდენიმე დღე და ახალი 2025 წელი შემოაბიჯებს. თითოეული ჩვენგანი საღი გონებითა და ფხიზელი თვალით განვსჯით მიმავალ წელს და საქმიანობას ახალი მიზნებით დავიწყებთ. დაბა შუახევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: ჩანჩხალოს, დაბაძველის, სხეფის, ოქროპილაურის, ბესელაშვილების, ორთამელას, დასახლებული უბნების: დროს, გუნდაურის, მახეს, კლდისუბნის, თერნალის, სხეფელას მკვიდრებს გასულ წელთან სასაყვედურო არ უნდა ჰქონდეთ. მნიშვნელოვანი თანხები იყო გამოყოფილი რეგიონის და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან“ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის, სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის, საავტომობილო გზების, სასმელი და სარწყავი წყლების სისტემების კეთილმოწყობისა და პირადი მეურნეობების მოწესრიგებისთვის.

- კონკრეტულ პროექტებს თუ დაასახელებთ?

- დაბა შუახევის ტერიტორიაზე გადის ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზა. 14 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდა ხიჭაური-ჩანჩხალოს 9-კილომეტრიანი მონაკვეთის რეკონსტრუქციას. კარგად გვახსოვს ოპოზიციური პარტიების ადგილობრივი ლიდერების საჯარო გამოხდომები, მასმედიის საშუალებებით გამოთქმული ცრუ ბრალდებები, რომ გზებზე მოძრაობა ხშირად ფერხდება, დაწყებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულებას ბოლო არ უჩანს და ა.შ. მათ არ სჯეროდათ, რომ ჩანჩხალოსა და კლდისუბნის ქარაფებს ჩამოშლიდნენ, თანამედროვე სტანდარტების შესაფერის გზას გაიყვანდნენ. ისევ გრძელდება დაბა შუახევის ცენტრში საყრდენ კედლებზე ფილების აკვრა. დაბის ცენტრში დასრულდა მართლმადიდებელი ტაძრის მშენებლობა, იმ დღეს დიდი მოწიწებით ველოდებით, როცა კეთილმოწყობილ ტაძარში წირვა-ლოცვა აღევლინება. ეს საჩუქარი იმ დიდი ყურადღებისა და თანადგომის დასტურია, რასაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე და სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი მეუფე სპირიდონი ჩვენში ძირძველი მრწამსის დაბრუნებისთვის იჩენენ. მადლობა მათ.

- ოჯახური ღირებულებების მიმართ თქვენი დამოკიდებულება...

- ორ ვაჟსა და ქალიშვილს ვზრდით. ოჯახი ეკლესიურია. ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია ის სექსუალური ორიენტაცია, რომელიც სურთ თავს მოგვახვიონ უღმერთოებმა. ჩემი ოჯახი მუდამ უერთგულებს სამ საუნჯეს: მამულს, ენასა და სარწმუნოებას.

- ამ მცირედი გადახვევის შემდეგ, ისევ გავაგრძელოთ საუბარი მნიშვნელოვან პროგრამებსა და პროექტებზე...

- ერთ დროს მივიწყებულ ტერიტორიად ითვლებოდა იაკობ გოგებაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ქუჩები. ახალი საზოგადოებრივი და კომერციული ნაგებობები იმ ქუჩებზეც აშენდა. მათგან მნიშვნელოვანია შუახევის საჯარო, ხელოვნებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლები, სასტუმროები და სავაჭრო ობიექტები. დაბა შუახევის, ორთამელას, გორხანაულის ქუჩებზე მთავრდება გაზიფიცირების სამუშაოები. ვიმედოვნებთ, რომ მალე დაბის მცხოვრებლები, კომერციული ობიექტები ბუნებრივი გაზით ისარგებლებენ. მოსახლეობა ითხოვდა და თანხები გამოინახა უბნებში მისასვლელ საავტომობილო გზებზე ბეტონის საფარის დასაგებად. ჩვენი ადმინისტრაციული ერთეულის მეცხოველეები ზაფხულში პირუტყვს კუროორტ ბახმაროს სიახლოვეს არსებულ ალპურ საძოვრებზე მირეკავენ. მათთვის ბევრი რამ გაკეთდა. უკვე დენი გავიყვანეთ კატრიანზე, გრძელგორზე, ლეკნარში, კიკიბოზე და ახლა შიდა ქსელის მოწესრიგება მიმდინარეობს. მილიონამდე ლარი გამოიყო და დღეს ჩანჩხალოში მოასფალტებული გზა შედის. მირიან დავითაძისა და ზაურ ზოიძის სახით გვყავს ბიზნესმენები, რომლებიც მცირე საწარმოების გახსნას აპირებენ.

- მომავალი წლის გეგმებზეც გვიამბეთ.

- შუახევის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის საჯარო განხილვისას, ჩვენი თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ზაზა დავითაძემ რიგი პროექტებისთვის თანხების მობილიზება მოითხოვა, რაც კიდეც აისახება მომავალი წლის საფინანსო დოკუმენტში. იგი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზეა გათვლილი. ისევ გაგრძელდება სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები, საყრდენი კედლების მოწყობა, სანაღვრე არხების გაკეთება. საკმაო თანხებია გამოყოფილი დაბა შუახევის ქუჩებისა და სკვერების კეთილმოსაწყობად, მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების შესაცვლელად, კულტურის სახლის შენობის შემოგარენის მოსაწესრიგებლად.

- მოსახლეობა სოფლებს ტოვებს. როგორ შეიძლება ამ პროცესის შეჩერება?

- დაბაძველს, ბესელაშვილებს, ოქროპილაურს ჯერჯერობით დაცარიელების საფრთხე არ ემუქრება, სამაგიეროდ, სოფლები სხეფი, ჩანჩხალო, უბნები - მახე, თერნალი, სხეფელა, დრო ცარიელდება. აქ მცხოვრებთ ჩვენგან დახმარება არ აკლია. ამ სოფლებსა და უბნებში რამდენიმე ოჯახს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით სახლები შევუძინეთ, სიღარიბის ზღვარზე მყოფი ოჯახები სოციალურ დახმარებასაც იღებენ. ერთ დროს სხეფის საჯარო სკოლაში 60-ზე მეტი მოსწავლე იყო, სკოლის შენობაც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად შეკეთდა, მაგრამ დღეს 5 მოსწავლეც აღარაა. სკოლა-ფილიალები გაუქმდა ღორექეთში, თერნალში, გუნდაურში, მხოლოდ ბესელაშვილებსა და ზედა ჩანჩხალოში მოქმედებს ამ სახის საგანმანათლებლო კერები. მოსახლეობის დახმარებას არც მომავალში შევწყვეტ, რომ შევძლოთ მათი ადგილზე დარჩენა.

- სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების განვითარების მხრივ რა მდგომარეობაა?

- ახალი შენაძენია გორხანაულის უბანში საჩითილე სათბური. ამ სიახლით მეზობელი ხულოსა და ქედის, ჩვენი ფერმერებიც სარგებლობენ. მებოსტნეობასთან ერთად ყურადღება ექცევა მეხილეობა-მევენახეობის განვითარებას. ახალი ზვრები გაჩნდა დაბაძველში, ოქროპილაურში, ჩანჩხალოში. მეცხოველეობას მისდევენ ყალებოინის უბანში მცხოვრებლები. ფუტკარს უვლიან კლდისუბნელები.

- დაბა ყოველთვის მაგალითის მიმცემი უნდა იყოს. რა კეთდება ახალი წლის შესახვედრად?

- უკვე დასრულდა ნაძვის ხის მონტაჟი. მის ანთებას 23 დეკემბრისთვის ვაპირებთ. დაგეგმილია სხვადასხვა სახის გასართობი ღონისძიებები, რაც ყველაზე მეტად პატარებს ახარებთ.

- თბილისში მიმდინარე მოვლენები ისევ რჩება საზოგადოების ყურადღების არეალში...

- ქვეყანას უკვე მართავს არჩეული პარლამენტი, რომელმაც ნდობა ახალ მთავრობას გამოუცხადა. 14 დეკემბერს, ამერიკული მოდელის შესაბამისად, საქართველოს მეექვსე პრეზიდენტი აირჩიეს. ბატონი მიხეილ ყველაშვილი მილოცვებსაც იღებს. 3 შვილის მამას, გაუმართლებლად მიმაჩნია პარლამენტის შენობის წინ, საახალწლო ნაძვის ხის ანთებასთან დაკავშირებით, ოპოზიციის გამოსვლები. იმ პატარებს მომავალს ნუ დავუკარგავთ, რომლებიც ცერემონიის მოლოდინში იყვნენ. დროა, პოლიტიკურმა პროცესებმა ქუჩიდან პარლამენტში გადაინაცვლოს.

გეერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

„სასაუბრო სივრცე“ – გარემო ემოციური განვითარებისთვის

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ახლახან ბათუმში „სასაუბრო სივრცე“ გაიხსნა, სადაც ბავშვებისთვის, მოზარდებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური შეხვედრები, ტრენინგები და სემინარები ტარდება. ეს სივრცე ფსიქოლოგებმა მაგდა სიხარულიძემ, ანა ფუტკარაძემ და ქეთი ხიმშიაშვილმა დააფუძნეს. შეხვედრებზე განიხილავენ ისეთ თემებს, როგორებიცაა: ბულინგი, აგრესია, ემოციების მართვა, მოტივაცია... „სასაუბრო სივრცე“ მრავალფეროვან სერვისებს გვთავაზობს, რომლებიც საზოგადოების, ინდივიდებისა და ოჯახების საჭიროებებზეა მორგებული.

რა იყო ამ სივრცის გახსნის მთავარი მოტივაცია, ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ფსიქოლოგი ***მაგდა სიხარულიძე*** *გვესაუბრება.*

- „სასაუბრო სივრცე“ შეიქმნა, რათა ადამიანებმა მიიღონ მაღალი ხარისხის ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და ემოციური განვითარებისთვის აუცილებელი გარემო. ვინაიდან სკოლები ვერ უზრუნველყოფს ტიპური განვითარების ბავშვებთან ისეთი პრობლემების მოგვარებას, როგორებიცაა: ბულინგი, სხეულის უსაფრთხოება, მოტივაცია, თვითშეფასება, ემოციების მართვა და ა.შ. სწორედ ამიტომ გაჩნდა „სასაუბრო სივრცის“ შექმნის იდეა. ჩვენ ვცდილობთ, გავაძლიეროთ როგორც ბავშვები, ისე მათი ოჯახები. ჩვენს სივრცეში არ გეტყვით, რა იფიქროთ ან რა გააკეთოთ, არამედ მოგაწვდით ფაქტებსა და ზუსტ ინფორმაციას, რათა უფრო ჯანსაღი გადაწყვეტილებების მიღებაში დაგეხმაროთ.

- რა სახის აქტივობები და შეხვედრები იმართება თქვენთან?

- „სასაუბრო სივრცე“ თანაქალაქელებს მრავალმხრივ ფსიქოლოგიურ და საგანმანათლებლო სერვისს სთავაზობს. ჩვენი ძირითადი აქტივობები მოიცავს: ინდივიდუალურ თერაპიას - ემოციური, ქცევითი და ფსიქოლოგიური სირთულეების მართვისთვის; ჯგუფურ თერაპიას - თანატოლებთან საერთო პრობლემების განხილვისა და ურთიერთობების გაძლიერებისთვის; არტთერაპიასა და შემოქმედებით სესიებს - ბავშვებისა და მოზარდების ემოციური გამოხატვის გაძლიერებისთვის; ტრენინგებს მშობლებისთვის - ბავშვის ემოციური საჭიროებების უკეთ გაგებისა და ბულინგთან გამკლავების სტრატეგიების შესახებ; პედაგოგებისთვის სემინარებს - კლასის მართვის, მოტივაციის ამაღლებისა და კონფლიქტების პრევენციის საკითხებზე; თემატურ შეხვედრებს - ბულინგისა და თვითშეფასების შესახებ ვორქშოფებს 8-12 და 13-16 წლის ბავშვებისთვის.

- რა გავლენას მოახდენს ეს სივრცე საზოგადოებაზე?

- ის ხელს შეუწყობს ფსიქოლოგიური მხარდაჭერის კულტურის დამკვიდრებას და სტიგმის შემცირებას, რომელიც ხშირად ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებს უკავშირდება. ვფიქრობ, ჩვენი მუშაობა ბავშვებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან სწორ გავლენას მოახდენს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე.

- ბულინგი ბავშვებში აქტუალურ პრობლემად რჩება...

- დიახ, სამწუხაროდ, ბულინგი კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება და უფრო მრავალფეროვან ფორმებს იძენს, განსაკუთრებით, ონლაინსივრცეში. კვლევები აჩვენებს, რომ ბულინგი სერიოზულ გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქოლოგიურ და სოციალურ განვითარებაზე, იწვევს ქცევით და ემოციურ პრობლემებს, რაც, ხშირად, დიდხანს გრძელდება. სწორედ ამიტომ მისი პრევენცია და მართვა ყველა ეტაპზეა აუცილებელი.

- როგორია თქვენი მიდგომა ბულინგის პრევენციისა და მართვის საკითხებში?

- ჩვენი მიდგომა ფოკუსირებულია განათლებაზე, ემპათიის განვითარებასა და ბავშვებთან და მოზარდებთან ღია კომუნიკაციაზე. გვინდა ბავშვების ცნობიერების ამაღლება. ვასწავლით მათ, როგორ ამოიცნონ ბულინგის ნიშნები და გაუმკლავდნენ მსგავს სიტუაციებს. ვცდილობთ თანატოლთა მხარდაჭერის გაძლიერებას, ვეხმარებით ბავშვებს, რომ ერთმანეთთან ჯანსაღი ურთიერთობის დამყარება მოახერხონ, ასევე, პრობლემის გადასაჭრელად სხვადასხვა პრაქტიკულ სავარჯიშოებს ვიყენებთ.

- რა როლი აქვთ მშობლებსა და მასწავლებლებს ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლაში?

- ისინი ბავშვების განვითარების პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ. აუცილებელია მათი მუდმივი ჩართულობა და ემოციური მხარდაჭერა. მშობლები და მასწავლებლები უნდა თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან და ბულინგის ნიშნების აღმოჩენისას ახდენდნენ დროულ რეაგირებას, რათა ბავშვი თანაბრად იყოს დაცული როგორც სახლში, ისე - სკოლაში.

- მშობლებისთვის და პედაგოგებისთვისაც ატარებთ ტრენინგებს...

- დიახ, ჩვენი ცენტრი რეგულარულად ატარებს ტრენინგებსა და სემინარებს შემდეგ საკითხებზე: ბულინგის ამოცნობის, პრევენციისა და მართვის სტრატეგიები; ემოციური ინტელექტის განვითარება ბავშვებში; რთულ ბავშვებთან მუშაობის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება...

- ვის შეუძლია ამ სივრცის სერვისებით სარგებლობა და რა ფორმით?

- ჩვენი სერვისები ღიაა ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის: ბავშვები, მოზარდები, მშობლები, მასწავლებლები... ასევე, ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მონაწილეობა ინდივიდუალურ, ჯგუფურ ან თემატურ შეხვედრებში.

- გეგმავთ თუ არა ონლაინშეხვედრებს, რეგიონებიდანაც რომ შეძლონ მოზარდებმა მონაწილეობა?

- დიახ, სამომავლოდ ონლაინპლატფორმების გამოყენება ჩვენი ერთ-ერთი მიზანია. გვინდა, რომ სერვისები ხელმისაწვდომი იყოს მათთვისაც, ვინც ფიზიკურად ვერ ჩამოდის. რეგიონებიდან მოზარდები და მათი მშობლები ონლაინრეჟიმში შეძლებენ მონაწილეობას და აქტიურ ჩართვას.

- როგორ აპირებთ საზოგადოების ინფორმირებასა და მათი ჩართულობის გაზრდას?

- საზოგადოების ინფორმირების მიზნით ვიყენებთ სოციალურ ქსელებს; ვაქვეყნებთ პოსტებს და ვიდეოებს ფსიქოლოგიური განათლების საკითხებზე. ჩვენი სამომავლო მიზანია, სივრცის გარეთ ჩავატაროთ ტრენინგები სკოლებში, რომლებიც ხელს შეუწყობს დაინტერესებას, ასევე, არ გვავიწყდება მედიასთან ურთიერთობის მნიშვნელობა.

- როგორია თქვენი პროფესიული გამოცდილება ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობის კუთხით?

- ჩვენ წლების განმავლობაში დავაგროვეთ საკმარისი გამოცდილება ბავშვებთან და მოზარდებთან ინდივიდუალური და ჯგუფური თერაპიის კუთხით. ამავე დროს, აქტიურად ვთანამშრომლობთ სკოლებთან და ოჯახებთან, რაც საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავიგოთ ბავშვების საჭიროებები და მოვერგოთ მათ.

- ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი, რომელიც ბულინგთან დაკავშირებით მუშაობის პროცესში მიიღეთ?

- ბულინგის პრევენცია და მართვა საერთო ძალისხმევას მოითხოვს. ვსწავლობთ, რომ ყველაზე ეფექტურია, როდესაც ბავშვები, მშობლები და პედაგოგები ერთობლივად მუშაობენ უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად.

- რა გეგმები გაქვთ ამ სივრცის განვითარების მიმართულებით?

- „სასაუბრო სივრცის“ განვითარება ჩვენი მუდმივი პრიორიტეტია. გეგმები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სკოლებთან თანამშრომლობის გაღრმავება-პარტნიორობა დაგვეხმარება, გავაფართოოთ ბულინგის პრევენციის პროგრამები და მასწავლებლებს საჭირო ინსტრუმენტები მივაწოდოთ ბავშვებთან მუშაობისთვის. ვაპირებთ ისეთი ინოვაციური მეთოდების დანერგვას, როგორებიცაა თამაშთერაპია ბავშვებისთვის, რომლებიც არ არიან მზად პირდაპირი ურთიერთობისთვის, ჯგუფური პროგრამები მოზარდებისთვის - ლიდერული უნარების განვითარებისთვის, ფსიქო-საგანმანათლებლო სესიები - ოჯახური ურთიერთობების გაძლიერებისთვის. ვგეგმავთ, ჩატარდეს კვლევები ბულინგის, მოზარდების ფსიქიკური ჯანმრთელობისა და მშობლების მხარდაჭერის საკითხებზე, რათა უკეთ გავიგოთ ადგილობრივი საჭიროებები და შევიმუშაოთ უფრო მიზანმიმართული მიდგომები. უფრო ფართო აუდიტორიისთვის დაგეგმილია საჯარო ლექციები, ვებინარები და კამპანიები ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის სტიგმის დაძლევისა და ემოციური ინტელექტის მნიშვნელობის შესახებ. გვინდა, რომ „სასაუბრო სივრცე“ გახდეს ყველასთვის ხელმისაწვდომი, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის. ასევე, ვგეგმავთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდას, რათა ბავშვებმა, მშობლებმა და მასწავლებლებმა შეძლონ მონაწილეობა როგორც ადგილზე, ისე ონლაინფორმატში. ჩვენი მთავარი მიზანია, რომ ეს სივრცე არა მხოლოდ დახმარებისა და მხარდაჭერის ცენტრი იყოს, არამედ - გაძლიერების, განათლებისა და საერთო კეთილდღეობის პლატფორმა.

> *„ჩვენი მიდგომა ფოკუსირებულია განათლებაზე, ემპათიის განვითარებასა და ბავშვებთან და მოზარდებთან ღია კომუნიკაციაზე. გვინდა ბავშვების ცნობიერების ამაღლება. ვასწავლით მათ, როგორ ამოიცნონ ბულინგის ნიშნები და გაუმკლავდნენ მსგავს სიტუაციებს. ვცდილობთ თანატოლთა მხარდაჭერის გაძლიერებას, ვეხმარებით ბავშვებს, რომ ერთმანეთთან ჯანსაღი ურთიერთობის დამყარება მოახერხონ“*

ჯანდაცვის ბიუჯეტი 4 245 000 ლარით გაიზარდა

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტი 4 245 000 ლარით გაიზარდა და 65 მილიონ 500 000 ლარს შეადგენს. სამინისტროს ინფორმაციით, ზრდა 6.9 პროცენტია.

ფინანსური რესურსი კი ასე გადანაწილდა:

- აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 59 851 476 ლარი; აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი - 3 755 536 ლარი; აჭარის დასაქმების სააგენტო - 1 892 988 ლარი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2025 წელს აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო იწყებს გულის მძიმე დაავადების მქონე პაციენტებისთვის გულის სარქვლის ტრანსკათეტერული იმპლანტაციის (TAVI) დაფინანსებას.

აღნიშნული მეთოდი ითვალისწინებს ღია ოპერაციის გარეშე, გულში კათეტერიზაციის გამოყენებით, აორტის სარქვლის იმპლანტაციას.

TAVI რეკომენდებულია არაოპერირებადი პაციენტებისთვის, რომელთა ლეტალობის რისკი 50%-ზე მეტია.

მომავალი წლის იანვრიდან აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტებს თარგეტულ, იმუნოთერაპიულ და ბისფოსფონატების ჯგუფის მედიკამენტებს დაუფინანსებს სრულად, თანაგადახდის გარეშე.

დაფინანსების წლიური ლიმიტი გაიზრდება 70 000 ლარამდე.

მომავალ წელს სამინისტრო „ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო დახმარების“ პროგრამის ფარგლებში, ჯამში, 8 მილიონ ლარს გამოყოფს.

ასევე, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2025 წლის იანვრიდან გარკვეული პროგრამების ბენეფიციარებს, რომელთა წლიური შემოსავალი 40 000 ლარი და მეტია, 3 000 ლარზე მეტი ღირებულების სამედიცინო მომსახურებას 70%-ით დაუფინანსებს.

ხატებს რწმენითა და სიყვარულით ქმნის

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

ამბობენ, რომ ხატის შექმნა დიდი მადლია და, ამავდროულად, მტკიცე რწმენასთანაა დაკავშირებული. ზოგს თავისი რწმენის გამოხატვა რაიმე ფორმით უნდა და მას ხელოვნების ნიმუშად აქცევს. სწორედ ასეთი გახლავთ ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი, 34 წლის ბათუმელი ***რამაზ დუმბაძე****.*

- როდის და რატომ დაინტერესდით ხის მხატვრული დამუშავებით?

- ხეზე მუშაობა ყოველთვის მომწონდა. ბავშვობაში ჩემს მოძღვარს, მამა შიო პაიჭაძეს ხშირად ვუყურებდი, როგორ კვეთდა ხეზე. მომწონდა, როგორ სათუთად ეპყრობოდა ხის მასალას და როგორ გამოჰყავდა ფიგურები ხის ნაჭერზე. მას შემდეგ მეც გადავწყვიტე, ეს ხელობა მეცადა და, უფლის ნებით, გამომივიდა კიდეც.

- როგორია ხისგან ხატების შექმნის პროცესი?

- ძალიან ამაღელვებელი, რადგან ის ხელობის ცოდნას, მოთმინებას, რწმენასა და სიყვარულს მოითხოვს.

- რა მასალას იყენებთ?

- ყველაფერი იწყება ხის მასალის შერჩევით. ყველაზე ხშირად ხატებისთვის მტკიცე, მაგრამ ადვილად დასამუშავებელ ხეებს ვიყენებ, როგორიცაა ცაცხვი, წიფელი, ბზა, მსხალი. ხე უნდა იყოს მშრალი და ხარისხიანი, ხატმა დროთა განმავლობაში ფორმა და გამძლეობა რომ შეინარჩუნოს.

- როგორც ვიცი, ხატებს ყიდით. ძირითადად ქართველი მომხმარებლები გყავთ თუ ემიგრანტებიც იძენენ?

- ძირითადად, ქართველები, თუმცა ხშირია შემთხვევა, როცა ხატებს მათი უცხოელი მეგობრებისთვის საჩუქრად ყიდულობენ.

- რა დრო გჭირდებათ ერთი ხატის შესაქმნელად და რა ეტაპებია ამისთვის საჭირო?

- ხატის ზომას გააჩნია, როდესაც აპარატით ვამუშავებ, საშუალოდ - ნახევარი დღე, თუმცა ერთ-ერთი დიდი ზომის ხატის შესაქმნელად ზუსტად 36 საათი დამჭირდა. შემდეგი ეტაპი დეტალური გასუფთავებაა. წვრილი დეტალები სუფთად დამუშავებას მოითხოვს. შემდეგ შეღებვა-გალაქვის პროცესია. ხატის დასრულების დრო, ზომის და კომპოზიციის მიხედვით, სხვადასხვაა. ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად რთული დეტალებისგან შედგება კონკრეტული ხატი.

- მუშაობის პროცესი რამდენად ემოციურია?

- ძალიან ემოციური! ერთდროულად მეუფლება მოწიწების, სიყვარულისა და ცოტაოდენი მღელვარების განცდა. დეტალების დამუშავებისას ისეთი გრძნობა გაქვს, თითქოს იმ სიუჟეტის მონაწილე ხდები, რომელიც ხატზეა გადმოცემული, პასუხისმგებლობას გრძნობ იმისას, რომ მლოცველისა თუ დამთვალიერებლისთვის მაქსიმალურად შთამბეჭდავი იყოს შენი ნამუშევარი.



- როგორი განცდაა, როდესაც ხედავთ, რომ თქვენი ნამუშევრები სასულიერო სივრცეებსა თუ სახლებშია განთავსებული?

- რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნო და განსაკუთრებული ემოციაა. როცა სასულიერო პირი აკურთხებს, ამის შემდეგ ხდება ხატი. უდიდესი პატივია, როცა ჩემ მიერ შექმნილი ხის ნაკეთობა ხატად იქცევა და მათზე ქრისტიანები ვლოცულობთ. მადლობა უფალს ამ შესაძლებლობისთვის.

- გამოარჩევთ რომელიმე თქვენ მიერ შექმნილ ხატს?

- კონკრეტულად ვერცერთს გამოვყოფ - ჩემთვის ყველა ხატი ძვირფასი და საყვარელია.

- როგორ ფიქრობთ, რა მნიშვნელობა აქვს ტრადიციების დაცვას ამ პროცესში?

- უდიდესი! ხატმწერები საუკუნეების განმავლობაში აგროვებდნენ ცოდნას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა, ამიტომ ტრადიციების დაცვა ხელს უწყობს ამ ცოდნის შენარჩუნებას. ქართული ხატმწერული სტილი თავის უნიკალურობას შეინარჩუნებს, თუ გავაგრძელებთ ტრადიციების ერთგულებას და გავითვალისწინებთ მათ თავისებურებას. ამასთან, აუცილებელია, ხატები შეესაბამებოდეს საეკლესიო კანონს და სწორად გადმოსცემდეს ღვთაებრივი სიუჟეტის არსს.

> *„ერთდროულად მეუფლება მოწიწების, სიყვარულისა და ცოტაოდენი მღელვარების განცდა. დეტალების დამუშავებისას ისეთი გრძნობა გაქვს, თითქოს იმ სიუჟეტის მონაწილე ხდები, რომელიც ხატზეა გადმოცემული, პასუხისმგებლობას გრძნობ იმისას, რომ მლოცველისა თუ დამთვალიერებლისთვის მაქსიმალურად შთამბეჭდავი იყოს შენი ნამუშევარი*

- როგორ ხედავთ თქვენს მომავალს ამ საქმიანობაში?

- მინდა, ჩემი ნამუშევრები ქვეყნის საზღვრებს გასცდეს და, განსაკუთრებით, ჩვენს ემიგრანტებთან მოხვდეს. რა თქმა უნდა, მინდა, უცხოელებსაც გავუზიარო ჩვენი კულტურის ეს მხარე.

- როგორ ხედავთ თანამედროვე ხატწერის როლს ქართულ კულტურაში?

- თანამედროვე ხატწერა არის ხიდი წარსულსა და მომავალს შორის, რომელიც ინარჩუნებს ტრადიციას. რომ განვაზოგადოთ, მისი როლი ქართულ კულტურაში არის სულიერი, ისტორიული და საგანმანათლებლო.

„სხვა შემთხვევაში, ჩვენ დავკარგავთ პროგრესულ მომავალს და ვიქნებით იმ ქვეყნების ჩამონათვალში, სადაც დიქტატურაა“

მე-5 გვერდიდან

- ის სიკეთე, რაც მივიღეთ ევროპისგან, შეერთებული შტატებისგან, ის წარმატებები, რასაც განათლების მიმართულებით ქვეყანამ მათი დახმარებით მიაღწია, ერთ დღესაც ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ აღარ იქნება და... ეს რომ ასეა, ყოველდღე ვრწმუნდებით. ეს ყველაფერი გასცდა ვიწრო პარტიულ ინტერესებს, ეს უკვე ეროვნული ბრძოლაა, რომ გადაარჩინო შენი ქვეყანა, იყო სწორ რელსებზე, იყო ცივილური სამყაროს ნაწილი. ვფიქრობ, არათუ მასწავლებლების, ყველა პროფესიის ადამიანის ვალია, გამოვიდეს ქუჩაში და გააპროტესტოს ის საშინელებები, რასაც ყოველდღიურად სჩადის „ქართული ოცნება“. დიახ, ჩვენ - მასწავლებლები პირველები უნდა ვიდგეთ ბრძოლის ველზე, რათა გადავარჩინოთ ქვეყანა, სხვა შემთხვევაში დავკარგავთ პროგრესულ მომავალს და ვიქნებით იმ ქვეყნების ჩამონათვალში, სადაც დიქტატურაა. ქვეყნის გადარჩენის, ამ ჩიხიდან გამოსვლის ერთადერთი გზა ხელახალი არჩევნების დანიშვნაა, სადაც რეალურად აისახება ამ ქვეყნის მოქალაქეების ხმა, - განაცხადა როლანდ შავაძემ.

ბათუმის მეექვსე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ქეთევან გიორგაძის თქმით, აღნიშნული პროტესტით ხელისუფლებას, პირველ რიგში, უნდა გააგონონ ის, რომ პედაგოგი არ წარმოადგენს რომელიმე პარტიას, ის მოძღვარია, რომელიც, ასევე, არის საქართველოს ხმა და ყველაზე უკეთ ესმის მომავალი თაობის მაჯისცემა, ყველაზე უკეთ იცის, როგორ ქვეყანაში სურთ ცხოვრება ახალგაზრდებს.

- როცა პედაგოგს იმ ზომამდე მიიყვან, რომ ქუჩაში გამოიყვან, იქ ხელისუფლების საქმე არის ცუდად. დღეს აქ გამოსულთა საერთო საქმელი ისაა, რომ ჩვენ არ გვინდა დიქტატურა. ყველა გამოწვევა, რაც აქამდე იყო, ავიტანეთ, ყველა გამოცდა ჩავაბარეთ, ყველაფერს გავუძელით, მოვითმინეთ სახელფასო პოლიტიკაში ათასნაირი სიცრუე, ტყუილი, სიფლიდე, მაგრამ ძალიან ძნელი ასატანია, როცა სამშობლოს, თავისუფლებას ეხება საქმე. აქ სწორედ იმისთვის ვდგავართ, რომ ხმამაღლა ვთქვათ: არა - დიქტატურას!.. რომ გვინდა ევროპული, განათლებული მომავალი. თუ მასწავლებელს ამდენ გამოცდას გვაბარებინებ, მაშინ პრეზიდენტიც განათლებული უნდა შეგვირჩიო, რადგან ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ ერი ვართ, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გრიგოლ ხანძთელის ქვეყანა ვართ და სხვაგვარად არ გვეპატიება. ვისურვებ, სანამ ჯერ კიდევ გვიანი არ არის, ქართველი საზოგადოება გამოფხიზლდეს, ამოქმედდეს, იმოძრაოს და თქვას ჭეშმარიტი სიტყვა, - აღნიშნა ქეთევან გიორგაძემ.

„აქ ნიღბებით რომ დგახართ, გთხოვთ, მითხარით, რას გრძნობთ? თქვენ ქართველები ხომ ხართ, რას იცავთ, ვის იცავთ?!“ - მიმართა აჭარის მთავრობის სახლთან მდგომ პოლიციელებს პედაგოგმა შუახევიდან ლია აბულაძემ, რომელსაც მთავარი მიმართვა ხელისუფლების მიმართ ჰქონდა: „საქართველოს მომავლის გაყიდვას ვერ გაპატიებთ, ხელისუფალნო“.

საპროტესტო აქციაზე ახალგაზრდებმა მიხეილ ყაველაშვილის პრეზიდენტად არჩევის გასაპროტესტებლად, სიმბოლურად, ბურთი ითამაშეს, ასევე, მოუწოდეს მთავრობას - „შეწყვიტეთ საზოგადოების დაცინვა!“

- დღეს რაც ქვეყანაში ხდება, ძალიან რთული და აუტანელია. ვხედავთ, აქციების დასაშლელად თბილისში რა ძალადობრივ მეთოდებს იყენებს ხელისუფლება, როგორ მოექცა ჩვენს თანატოლებს. ჩვენი ერთადერთი სათქმელი ისაა, რომ საქართველოს გზა ევროპაშია და არასდროს დავთმობთ ევროპულ მომავალს. ჩემი თაობა თავისუფლების შვილები ვართ და არასდროს ვიტყვით უარს თავისუფლებაზე. ახლა, სიმბოლურად, ფეხბურთს ვთამაშობთ, ფაქტია, რომ ხელისუფლებამ დაგვცინა და გვითხრა, ფეხბურთის თამაშით შეიძლება უფრო მეტს მიაღწიო ჩვენს ქვეყანაში, ვიდრე განათლებითო. „ქართულმა ოცნებამ“ არალეგიტიმურად აირჩია უდიპლომო პრეზიდენტი, რომელიც ჩვენთვის სრულიად მიუღებელია. ეს დაცინვაა ჩვენი, ქართველი საზოგადოების. ბრძოლას გავაგრძელებთ, სანამ არ დავიბრუნებთ ევროპულ მომავალს, - განაცხადა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუდენტმა მარიამ ლაზიშვილმა.

შეგახსენებთ: საქართველოში, თითქმის მთელი ქვეყნის მასშტაბით, თვითდინებით, პროტესტი მას შემდეგ დაიწყო, რაც „ქართულმა ოცნებამ“ გამოაცხადა, რომ 2028 წლის ბოლომდე დღის წესრიგში არ დააყენებს ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნის საკითხს, ასევე, ევროკავშირის მხრიდან, აღნიშნულ წლამდე, ყოველგვარ საბიუჯეტო გრანტზე უარს ამბობს. მოსახლეობა აცხადებს, რომ აღნიშნულით დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი, რომელიც კონსტიტუციურ ორგანოებს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისთვის ყველა ზომის მიღებას ავალდებულებს.

ხელმადლიანი დასტაქარი, მეცნიერი, მასწავლებელი

მრავალი აღმატებული ღირსებით დაჯილდოვა უფალმა ცნობილი ქირურგი თენგიზ ახმეტელი, რომლის დაბადებიდან 100 წლისთავს აღვნიშნავთ. ის ყველაფერში დიდი იყო - შეუდარებელი ქირურგი, ნაყოფიერი მეცნიერი, წარმატებული პედაგოგი

როგორც ჩანს, ბუნებრივი ნიჭი და შრომისმოყვარეობა გენეტიკურად, წინაპრებისგან გამოჰყვა - მამას, ილია ახმეტელს უმაღლესი სამედიცინო განათლება ტარტუს ცნობილ უნივერსიტეტში მიუღია, შემდეგ კარგა ხანს რუსეთში უმუშავია სპეციალობის მიხედვით - ქირურგად. 1918 წელს სამშობლოში დაბრუნებულა. ილია ახმეტელი გახლდათ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი, ზოგადი ქირურგიის კათედრის გამგე, მრავალმხრივი ინტერესების მქონე პროფესიონალი. წარმატებით აკეთებდა ოპერაციებს ორგანიზმის ყველა სისტემასა და ორგანოზე. აღსანიშნავია, რომ მისი ბიძა სახელგანთქმული რეჟისორი სანდრო ახმეტელი გახლდათ, ხოლო მამიდა, ეკატერინე, უმაღლესი განათლების მქონე ერთ-ერთი პირველი ქალი საქართველოში, რომელიც შემდეგ ჩვენი ქვეყნის მეცნიერული ქირურგიის ფუძემდებელ გრიგოლ მუხაძის მეუღლე გახდა.

1986 წელს თენგიზ ახმეტელს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა. იგი საქართველოში პირველი ექიმია, ვინც ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. არჩეული იყო საქართველოს რამდენიმე სამედიცინო აკადემიის ნამდვილ წევრად, თუმცა ყველაზე ძვირფას ჯილდოდ იგი თბილისის საპატიო მოქალაქის წოდებას თვლიდა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თენგიზ ახმეტელი ქართული ქირურგიის კორიფეების საყვარელი მოსწავლე და გვერდით მდგომი, დასაყრდენი სპეციალისტი იყო. პროფესორი მიხეილ ჩაჩავა, რომელიც ცნობილი იყო ღრმა ერუდიციით და დიდი ოსტატობითაც ასრულებდა ნებისმიერი სახის ოპერაციას, ახალგაზრდა თენგიზს გვერდიდან არ იშორებდა. მდიდარი გამოცდილება მიიღო თენგიზ ახმეტელმა აკადემიკოს ეგნატე ფიფიასთან რამდენიმე წლის მუშაობის შედეგად, ასევე ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორთან, აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავთან სწავლულ მდივნად მუშაობისას. თავისი მოღვაწეობის უმეტესი პერიოდი თენგიზ ახმეტელმა აკადემიკოს მამია კომახიძის გვერდით გაატარა. იგი მას თითქმის ყველა თანამდებობაზე მუშაობისას თავის მოადგილედ ნიშნავდა. ყველა ოპერაციაზე პირველ ასისტენტად ირჩევდა.

თენგიზ ახმეტელი ქირურგიას მასწავლიდა სტუდენტობის პერიოდში. კიდევ უფრო დავუახლოვდი ასპირანტურაში სწავლის დროს. იგი ჩემი საკანდიდატო დისერტაციის უშუალო ხელმძღვანელი გახლდათ. შემდეგ რამდენიმე წელი ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ასისტენტად კვლავ მისი მეთვალყურეობით ვმუშაობდი. ბატონი თენგიზი უანგაროდ მეხმარებოდა ბათუმში ჩემი მოღვაწეობის დროსაც. მეამყება, რომ ჩემი მასწავლებელი ასეთი რანგის პროფესიონალი და დიდებული პიროვნება იყო. იგი მასწავლიდა როგორც სპეციალობას, ისე მეცნიერების ანბანს, საექიმო ეთიკას.

მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, უაღრესად თავმდაბალი, კეთილგანწყობილი პიროვნება განსაკუთრებული ხიბლით იზიდავდა ადამიანებს. მის მრავალმხრივობას ისიც ადასტურებდა, რომ კარგი ალპინისტიც გახლდათ. თავდაპირველად ექსპედიციებში მონაწილეობდა როგორც რიგითი წევრი, შემდეგ - როგორც მაშველი ჯგუფის ექიმი.

აღიარებული დასტაქარი პაციენტთან ურთიერთობის ყველა ეტაპზე ამყღავნებდა განსწავლულობას, გულმოწყალებას, თანაგრძნობას. სპეციალისტები უდიდეს სიამოვნებას ვიღებდით მის ოპერაციებზე დასწრებით, აღფრთოვანებული ვრჩებოდით მისი ხელების ნატიფი, მოზომილი, გააზრებული მოძრაობით, ქსოვილებისადმი სათუთი მოპყრობით, ოპერაციების ნაკლებ ტრავმულობით. იგი ოპერაციას აკეთებდა განსაკუთრებული სიმშვიდით, ხმაურის გარეშე. შესაბამისად, ოპერაციაც გაურთულებლად მიმდინარეობდა და შემდგომი რეაბილიტაციის პერიოდიც ხანმოკლე იყო. ჩვენი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში მრავალი ქირურგის ოპერაცია მინახავს, მათი ლექციები მომისმენია, დავსწრებივარ კონსულტაციებს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ და გულწრფელად ვამბობ: ძალიან ცოტა ქირურგი თუ შეედრებოდა ბატონ თენგიზს საერთო ერუდიციასა და ოპერატიულ ტექნიკაში, კლინიკაში ყველაზე რთულ ოპერაციებს მას ანდობდნენ, ახალბედა ქირურგები ასისტენტობას, უხშირესად, ბატონ თენგიზთან ითხოვდნენ, მასთან აგზავნიდნენ მძიმე პაციენტებს კოლეგები რეგიონებიდან, კონსულტაციის მსურველებს დაუბრკოლებლად იღებდა..

რამდენიმე თვის წინ გამოვეცი წიგნი „ღვთაებრივი ხელოვნება“, რომლის სათაურს დიდ გოეთეს დავესესხები: „ქირურგია ღვთაებრივი ხელოვნებაა, რომელიც ასწორებს ადამიანის ორგანიზმში თანდაყოლილ ან ცხოვრების მანძილზე შეძენილ მანკებს“, - ბრძანებდა ბრძენკაცი. წიგნში ვავითარებ აზრს, რომ ქირურგად ძალიან ცოტა ადამიანი თუ გამოდგება, რადგან აქ ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა არ კმარა. სიცოცხლის გადამრჩენის სპეციალობის მქონესთვის სავალდებულოა განსაკუთრებული უნარ-ჩვევები. მას უნდა ჰქონდეს სხარტი გონება, კრიტიკულ ვითარებაში სწორი გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი, მოქნილი ხელები, რომლებიც სიფრთხილით ეპყრობიან ქსოვილებს, უნდა ახასიათებდეს გამახვილებული მგრძნობელობა, კოლეგიალობა, სამართლიანობა, პაციენტებისადმი კეთილგანწყობა და სხვა.

ლეგენდარული იბნ სინა (ავიცენა) ამბობდა: „ქირურგს უნდა ჰქონდეს ლომის გული, გოგონას ხელები და არწივის თვალი“. ამ სტრიქონებს რომ ვწერდი, ჩვენი სპეციალობის იდეალად, პროტოტიპად სწორედ თენგიზ ახმეტელი მყავდა წარმოდგენილი. დიახ, იგი, მართლაც მისაბაძი, მრავალმხრივ განსწავლული ადამიანი იყო. ბრწყინვალედ იცოდა მედიცინის ფუნდამენტური საგნები - ნორმალური, ტოპოგრაფიული და პათოლოგიური ანატომია, ფიზიოლოგია, პათოლოგიური ფიზიოლოგია, თერაპია, ენდოკრინოლოგია, ბიოქიმია.

მრავალფეროვანი იყო მისი მეცნიერული ინტერესები, გამოქვეყნებული ჰქონდა სამასამდე მეცნიერული ნაშრომი და ოცი მონოგრაფია. მრავალი წელი მუშაობდა საქართველოს მორფოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

თენგიზ ახმეტელმა წარმატებით განვლო თანამდებობრივი იერარქიის გზა - დამწყები ქირურგიდან სამედიცინო უნივერსიტეტის ყველაზე დიდი და მოწინავე, სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგის თანამდებობამდე. ის გახლდათ მრავალი სამეცნიერო ხარისხის მაძიებლის ხელმძღვანელი, ქირურგიაში სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარე, სამეცნიერო ნაშრომების რედაქტორი. ბატონი თენგიზის ინიციატივით სამეცნიერო ფორუმები ტარდებოდა როგორც ქალაქებში, ისე რაიონებში, მისი მოსწავლეები საინტერესო მოხსენებებით გამოდიოდნენ საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ ქირურგთა შეკრებებზე.

ჩემი თაობის ქირურგებს, უდავოდ, გაგვიმართლა, რომ ჩვენი მასწავლებელი, სპეციალობაში დამკვალიანებელი იყო საამაყო და მისაბაძი პიროვნება, ბატონი თენგიზ ახმეტელი, რომელიც შუქურასავით ანათებდა და გვიმსუბუქებდა სიცოცხლის გადამრჩენის მძიმე ტვირთს.

თენგიზ ახმეტელის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი მეცნიერული მემკვიდრეობა ქირურგთა მომავალი თაობებისთვის სამაგალითოა. მისი სახელი სამარადისოდ დარჩება მადლიერ მრავალრიცხოვან პაციენტთა და მოსწავლეთა ხსოვნაში.

აპაკი ბერიძე,
პროფესორი

„ოცნების ქალაქის“ მშენებლობის მეორე ეტაპი იწყება

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, „ოცნების ქალაქის“ მშენებლობის მეორე ეტაპის ტენდერი გამოცხადდა

პროექტი ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირ №88-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოებს (მეორე ეტაპი) ითვალისწინებს.

პროექტის მიხედვით, 19 407 კვმ სამშენებლო არეალზე 9 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი აშენდება. „ოცნების ქალაქის“ მშენებლობის მეორე ეტაპზე დამატებით 1077 ბინა მოეწყობა. საცხოვრებელი სახლები გაზმომარაგების, წყლის, წყალარინების და ყველა საჭირო საინჟინრო-კომუნალური ინფრასტრუქტურით აღიჭურვება. ტერიტორიაზე მოეწყობა პარკინგი, ასევე, ეზოების გამწვანება და კეთილმოწყობა განხორციელდება. შენობა შშმ პირებზე ადაპტირებული იქნება.

უწყების ცნობით, ხელშეკრულების მიხედვით, მშენებლობა 36 თვეში დასრულდება.

„ოცნების ქალაქის“ პროექტის მეორე ეტაპის განაშენიანების დეტალური გეგმა მომზადდა. ქალაქმშენებლობითი დოკუმენტის მიხედვით, პროექტის ახალი ეტაპი უკვე მთლიანი ტერიტორიის სწორ ურბანულ განვითარებას, საცხოვრებელი, საგანმანათლებლო და რეკრეაციული სივრცეების შექმნას გულისხმობს. საცხოვრებელი ბინების მშენებლობასთან ერთად ტერიტორიაზე საჯარო სკოლა და საბავშვო ბაღი აშენდება. მოქალაქეებს ადგილზე სხვადასხვა სერვისებზე წვდომის შესაძლებლობაც ექნებათ.

„ოცნების ქალაქის“ მშენებლობის პირველ ეტაპზე თანამედროვე სტანდარტების სამი 12-სართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენდა. 582 ოჯახს ბინა საკუთრებაში უკვე გადაეცა, რითაც 800-მდე ბავშვისთვის ჯანსაღი საცხოვრებელი პირობები შეიქმნა.

„საბამ“ გამარჯვებულები გამოავლინა

ლიტერატურული პრემია „საბა“ 2002 წელს დაარსდა და მისი მიზანი გასული ერთი წლის ლიტერატურული პროცესების შეფასება და წლის საუკეთესო წიგნებისა და ავტორების გამოვლენაა. წელს 22-ედ გამოავლინა გამარჯვებულები, თუმცა ქვეყანაში შექმნილი ვითარების ფონზე „საბას“ დაჯილდოება საზეიმო არ ყოფილა.

„იმედი გვაქვს, „საბას“ მომავალ გამარჯვებულებს საზეიმო დაჯილდოებაზე თავისუფალ, ევროპულსა და დემოკრატიულ საქართველოში გამოვავლენთ. სოლიდარობას ვუცხადებთ საპროტესტო აქციების დროს დაშავებულ და უკანონოდ დაკავებულ მოქალაქეებს. ქვეყანაში არსებული რთული მდგომარეობა ქართული ლიტერატურის ხელშეწყობის პასუხისმგებლობას აორმაგებს და ვინაიდან წელს „საბას“ დაჯილდოება ვერ ჩატარდება, „თიბისის“ მხარდაჭერით, დაჯილდოების ცერემონიისთვის განსაზღვრულ თანხას სრულად მივმართავთ ფულად პრიზებზე არა მხოლოდ გამარჯვებულებისათვის, არამედ ყველა ფინალისტისთვისაც.

ლიტერატურული პრემია „საბა 2024-ის“ ჟიურიში იყვნენ პროზაიკოსი ბიძინა მაყაშვილი, პოეტი პაატა შამუგია, მთარგმნელი თამარ ჯაფარიძე, ლიტერატორი გვანცა ჩხენკელი, პოეტი ლია ლიქოკელი.

ჟიურიმ განიხილა 250-მდე წიგნი და ათ ნომინაციაში 11 გამარჯვებული გამოავლინა:

„წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი“ - აინე მერმე, „ეუარა“ („ინდიგო“); „წლის საუკეთესო კრიტიკა“ - ნონა კუპრეიშვილი, „საშიში ინტერპრეტაციები“ („ინტელექტი“); „წლის საუკეთესო პიესა“ - გიორგი მაისურაძე, „ლეთე“ („ინდიგო“); „წლის საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა“ - ზაზა ბურჭულაძე, „ჩემი სიმღერა“ („სულაკაურის გამომცემლობა“); „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს“ მიერ დაწესებული ჯილდო „საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიის რეფლექსია ქართულ ლიტერატურაში“ - ლაშა ბუღაძე, „საქართველოს სახელით“ („სულაკაურის გამომცემლობა“); „წლის საუკეთესო ქართული თარგმანი“ - ზაზა ჭილაძე და გია ჭუმბურიძე, სიუზენ ზონტაგის „ფოტოგრაფია“ („დიოგენე“); „წლის საუკეთესო პროზაული კრებული“ - მარი ბექაური, „ორ ზღვას შუა“ („სულაკაურის გამომცემლობა“); „წლის საუკეთესო პოეტური კრებული“ - ბესიკ ხარანაული, „ეს საქართველოა“ („ინტელექტი“); ნომინაციაში „წლის საუკეთესო რომანი“ წელს ორი დამოუკიდებელი „საბა“ გაიცა, გამარჯვებულები გახდნენ: ბესო სოლომანაშვილი, „ლუმპენ მილენიუმი“ („სულაკაურის გამომცემლობა“) და დავით ქართველიშვილი, „მეგაპოლისი და ფიზიკური პირები“ („პალიტრა“).

ქართულ ენასა და ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის „საბა“ გადაეცემა ენათმეცნიერს, ფილოლოგ მზექალა შანიძეს“ - აღნიშნულია „საბას“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადუარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 19/12/24, 17 05 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

გახსნილი დიალოგი - სამყაროსთან

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში არაერთი ნიჭიერი, საიმედო, პერსპექტიული კალმოსანი გამოიკვეთა. ერთ-ერთია ანა სისვაძე - საინტერესო პოეტი და წარმატებული სტუდენტი, რომელიც არა მხოლოდ ინტელექტით, ერუდიციით, ცოდნისადმი დაუოკებელი სწრაფვით, არამედ გულწრფელობით, სიახლეების ძიებით, პასუხისმგებლობითა და ჰუმანიზმით გამოირჩევა.

„ესაა გახსნილი დიალოგი სამყაროსთან, კომუნიკაცია ამოუთქვამ საიდუმლოებებთან“ - ასე განმარტა ჩვენთან ინტერვიუში თავისი დამოკიდებულება წერის პროცესთან ანა სისვაძემ და არაერთ კითხვას საინტერესოდ უპასუხა.

- მას შემდეგ, რაც ლიტერატურაში ფეხი შემოდგით, ანუ მეორედ დაიბადეთ, თავს როგორ გრძნობთ?

- ვგრძნობ, რომ სამყაროს უფრო დავუახლოვდი. ამ სამყაროში დიდი სიღრმე ჩანს, უსასრულო, რომელშიც საშუალება მაქვს, საკუთარი განცდები გამოვამყღავნო და სხვასაც გავუზიარო. ამას ხომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ ჩემს სიტყვას შეუძლია არა მხოლოდ ჩემი, არამედ სხვისი ცხოვრების ნაწილიც გახდეს. ეს არ არის მხოლოდ წერა, ეს არის გახსნილი დიალოგი შინაგან სამყაროსთან, კომუნიკაციაა ამოუთქვამ საიდუმლოებებთან. ამ პროცესში ვუსმენ იმ ხმას, რომელიც, როგორც აღნიშნეთ, „მეორე დაბადებიდან“ თან მდევს ყველგან, სადაც წავალ და ბედნიერი ვარ, რომ ამ უცნაურ სამყაროში მარტო არ ვარ.

- სიახლეები, რომლებითაც ამ ზამთარს ხვდებით...

- ამჟამად ლექსებს ვწერ, არცთუ ისე იშვიათად, თუმცა, სიმართლე გითხრათ, არ ვაქვეყნებ არსად, არც სოციალურ ქსელში და არც რომელიმე ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთში. ბოლოს ნოემბერში, ლიტერატურულ ჟურნალ „აფინაჟში“ გამოქვეყნდა ჩემი ლექსები, თუმცა ყველა ადრინდელია. ახლა ვმუშაობ საკუთარ თავთან და ვცდილობ, ამ პროცესში შევინარჩუნო ის ძვირფასი მასწავლებელი, რომელსაც მარტოობა ჰქვია. არ მინდა მხოლოდ ქება და მილოცვები მესმოდეს, ეს თვითკრიტიკის უნარს მიკარგავს, ასე რომ, აუცილებლად დავბრუნდები, ვფიქრობ, უფრო განვითარებული და ძლიერი, ვიდრე ოდესმე ვყოფილვარ.

- პოეზია თუ პროზა - სად ხედავთ თქვენს თავს მომავალში?

- ჩემს თავს მომავალში პოეზიაში ვხედავ. დაწერილი მაქვს რამდენიმე მოთხრობაც, მაგრამ საკუთარ თავს ვაკვირდები და ვგრძნობ, რომ უფრო ახლოს პოეზიასთან ვარ. დიდი ილია ამბობდა, პოეზია მადლიაო, მე კი არ მინდა, ეს მადლი ხელიდან გავუშვა. მას შევინარჩუნებ იქამდე, სადამდეც მაქვს ძალა არსებობისა. ჩემი ემოციები, ფიქრები, განცდები და შინაგანი ხმა ითხოვს მუსიკას, რომელსაც ჩვენთვის რითმების სახე აქვს. ყოფილა ისეთი მომენტებიც, რომ მქონია გარკვეული ჩანაფიქრი, რომელიც მოთხრობად უნდა მექცია, მაგრამ ლექსად შემომეწერა, ერთ-ერთია ლექსი „სად მიფრინავენ ახალგაზრდები? (ჩემი და ღამის გასაუბრება), რომელიც გასული წელს ლიტერატურულ ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა.

- ფეისბუქში ძალიან მგრძნობიარე, მხატვრულ პოსტებს აქვეყნებთ, ერთგან დანანებით ამბობთ: „განსაკუთრებით სჩვევიათ თანამედროვე მწერლებს კლასიკოსების, რაც შეიძლება მეტად გასწორება მიწასთან“. რა გახდა ამის საფუძველი?

- ეს ერთგვარი გამოხმაურება იყო იმ მწერლების მისამართით, რომელნიც დღეს განსაკუთრებული სიმძაფრით უსაფუძვლო ბრალს უყენებენ ქართული ლიტერატურის შედევრებს. რამდენიმე კვირის წინ სოციალურ ქსელში ერთ-ერთი თანამედროვე მწერლის სტატიას მოვკარი თვალი, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ კლასიკოსებმა დაკარგეს თავიანთი ღირებულება. ცხადია, ავტორს არ დავასახელებ, უბრალოდ, არ შეიძლება იმ მწერლების უგულებელყოფა, რომელთა ნაშრომებიდან ჯერ კიდევ ბევრია გასაზრებელი და სასწავლი. არ შეიძლება ერთი ხელის მოსმით ხაზი გადავუსვათ ჯავახიშვილს, ყაზბეგს და სხვებს, რამეთუ მათი ნააზრევი წარმოადგენს ჩვენი ამჟამინდელი ყოფის საფუძველს, რომელზეც, რეალურად, ახალი ლიტერატურა უნდა შენდებოდეს.

- ცხოვრება, რეალობა, თავისი შუქ-ჩრდილებით, წყაროა შემოქმედების.

- რა თქმა უნდა, ყოველგვარი შემოქმედების საყრდენი, პირველ რიგში, რეალობაა. ცხოვრებისეული სილამაზე, მშვენიერება, სირთულე თუ შუქ-ჩრდილები, რომლის წინაშეც ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ყველანი აღმოვჩნდებით ხოლმე, უპირველესი შთაგონების წყაროა. ჩვენს ყოველდღიურობას, როგორი ფერიც უნდა ჰქონდეს მას, თუ ჯდება ჩვენს შესაძლებლობებში, შემოქმედებად ვაქცევთ - ჩემი ერთ-ერთი ლექტორის, ქალბატონი ეკატერინე ნავროზაშვილის სიტყვები გამახსენდა - ყველა ლექსსაც კი თავისი ისტორია აქვსო. ასეა, შემოქმედება არ არსებობს რეალობის ობიექტური აღქმის გარეშე და რასაც ვწერთ, ვხატავთ, ან ვმღერით, ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

- რა აზრის ხართ თანამედროვე კონკურსებზე, ფესტივალებზე...

- თანამედროვე კონკურსებისა და ფესტივალების მიმართ დადებითად ვარ განწყობილი. ერთი მხრივ, ეს საშუალებას აძლევს ახალგაზრდებსა და დამწყებ მწერლებს, გაუზიაროონ სამწერლობო გამოცდილება ფართო აუდიტორიას, მიიღონ ამ აუდიტორიისგან შეფასება და კრიტიკა და განვითარდნენ. ახალგაზრდისთვის კი შემოქმედების პროცესში „გამარჯვების“ ტიტული უნდა იყოს დიდი მოტივაციის წყარო. მეორე მხრივ, ასეთი კონკურსები და ფესტივალები წარმოგვიჩენენ მიმდინარე ლიტერატურული პროცესის ღირსეულ მწერლებს, რომელთა გამოცდილებასაც ვეყრდნობით და ვითვალისწინებთ. ცხადია, ეს ღონისძიებები მაქსიმალურად სამართლიანი უნდა იყოს, რაც, ჩვენდა სავალალოდ, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, არ გათვალისწინებულა. ამ პრობლემას ყველაზე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, თუკი გვსურს, შევქმნათ ჯანსაღი და ღირსეული სამწერლობო ტრადიცია.

- ყველაზე მეტად რა გაფიქრებთ, რაზე წუხართ, რა გიხარიათ?

- ყველაზე მეტად ვფიქრობ სამშობლოზე, მის მომავალზე, იმაზე, თუ როგორ უნდა შევინარჩუნოთ დიდი წვალებით მოპოვებული თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ძალიან ვწუხვარ იმ ადამიანებზე, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე თავისუფლებისთვის ბრძოლას შესწირეს. ცხადია, გვეამაყება მათი გმირობა, იქნებ კარგიცაა, რომ არ ხედავენ, დღეს რა მდგომარეობაა ჩვენს ქვეყანაში. და მაინც, ძალიან მიხარია, რომ მათი თავგანწირვა არ არის დავიწყებული და დღეს თავისუფალ სამშობლოში ვცხოვრობთ, ვცდილობთ და ვიბრძვით, შევინარჩუნოთ ის, რაც საჩუქრად დაგვებედა და მას დამოუკიდებლობა ჰქვია. ბედნიერი ვარ, რომ დღეს ბრძოლის წინა ხაზზე სწორედ ახალგაზრდები არიან. ვფიქრობ, ძლიერი თაობა ვართ და რაც უნდა „რთულად“ ყღერდეს, არავის დავუთმობთ ჩვენს ქვეყანას, ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ აღვასრულოთ დიდი აკაკის სიტყვები: „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი“.

- ადამიანები, რომელთა არსებობამ და მაგალითმა ძალა შეგმატათ?

- ჩემს რეალურ ცხოვრებაში პირველი ასეთი ადამიანი დედაჩემია და არ ვფიქრობ აქ სხვა მაგალითების განხილვას. ცხადია, ბევრი ძვირფასი ადამიანი არსებობს ჩემს მცირედგავლილ ცხოვრებაში, მაგრამ დედაჩემი, მისი გადატანილი ცხოვრება, რომელიც უზომოდ დიდი სირთულეებითა და ტკივილებით იყო სავსე, იქცა გმირობად. ის ჩემს თვალში გმირია და უდიდესი მაგალითი იმის, რომ არასდროს დავნებდე ცხოვრებაში და ყოველთვის ვიპოვო საკუთარ თავში ის ძალა, რომელიც ყოველგვარი სირთულის გადალახვაში დამეხმარება.

- რა გახალისებთ ცხოვრებაში?

- ყველაზე მეტად მახარებს, როცა ვხედავ, რომ ჩემი შრომა და მონდომება კარგ შედეგს იძლევა. განსაკუთრებული სიხარულია, როცა საყვარელ ადამიანებთან ერთად ვატარებ დროს. ასევე, ძალიან მსიამოვნებს იმაზე ფიქრი, რომ ზოგი ადამიანის ცხოვრებაზე დადებითი გავლენა მაქვს, იქნება ეს ჩემი სიტყვა, საქმე, თანაგრძნობა თუ მხარდაჭერა, რომელიც სხვებისთვის მცირე ბედნიერებას მაინც ქმნის. ეს ყველაფერი ცხოვრებას უფრო თბილსა და ღირებულს ხდის.

- რას ვერ აპატიებთ და რას აფასებთ ადამიანში?

- ვერასოდეს ვაპატიებ ღალატს, მაშასადამე, მასში ყველაზე მეტად ერთგულებას ვაფასებ. ვფიქრობ, რომ ადამიანის ეს თვისება ძალიან იშვიათია და ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ასეთი მეგობრები, ახლობლები და სხვა ძვირფასი ადამიანები მყავს.

- ბავშვობის საყვარელი წიგნი?

- რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია“. ზოგადად, ბავშვობიდან ვკითხულობ წიგნებს. იყო ერთი პერიოდი, თინეიჯერობის ასაკი, როცა სრულიად შევეშვი წიგნების კითხვას. კარგად მახსოვს, როგორ დამტუქსა მაშინ ჩემი სკოლის ყველაზე ძვირფასმა ქართული ენის მასწავლებელმა, ქალბატონმა ეკატერინე ქუთათელაძემ. რამდენიმე დღის შემდეგ მომიტანა ეს წიგნი. „ღვთაებრივმა კომედიამ“ გადამაგდო იმ სამყაროში, რომლიდანაც აღარ გამოვსულვარ მას შემდეგ. ეს იყო წიგნი, რომელმაც უდიდესი ინტერესი გამიღვივა სხვა წიგნების მიმართ და, ასე ვთქვათ, მომაბრუნა ჩემს რეალურ, საყვარელ და ძვირფას სამყაროსთან. სწორედ ამიტომ არის ეს წიგნი ასე ძვირფასი ჩემთვის.

- ისტორიული წარსულიდან ვის გამოიხმობდით და რატომ?

- ილია ჭავჭავაძეს. ახლა მისი ენერგია, აქტიური ცხოვრებისეული ნაბიჯები ძალიან გვჭირდება. მისი იდეები, რომლებიც თავისი არსით დაკავშირებულია ქვეყნის დამოუკიდებლობის, სამართლიანობის, ეროვნული თვითმყოფადობის მოპოვებასა და შენარჩუნებასთან, დღესაც კი უაღრესად აქტუალურია. მან აჩვენა საზოგადოებას, რომ ამ ყველაფრის მისაღწევად ერთიანობაა საჭირო. ჩვენ ეს დღესაც გვაკლია, სამწუხაროდ. მისი სიტყვები და მაგალითი ახლაც დიდი ძალა იქნებოდა ქართველი საზოგადოებისთვის.

- ყველაზე შთამბეჭდავი დღე - თქვენს ცხოვრებაში?

- დღე, როცა პირველად დაიბეჭდა ჩემი ლექსები „ლიტერატურულ გურიაში“. ეს იყო დიდი სიხარულის, სიამაყისა და შრომის დაფასების წუთები. წლების განმავლობაში გულით ნაგროვები ემოციები, ფიქრები და სიტყვები უკვე ქაღალდზე იყო ამობეჭდილი და სხვებამდეც აღწევდა. ეს დღე ჩემთვის საკუთარი თავის რეალიზაციისა და ოცნების ახდენის დასაწყისი იყო, რომელიც არასდროს დამავიწყდება.

- დაბოლოს, ფრაზა, რომლითაც დაამთავრებდით ამ საუბარს.

- „მამული, ენა, სარწმუნოება“ - ამ სამს კი ოდესმე რომ ეძგეროს ვინმე, ის ჩვენი მტერია, დაუძინებელი მტერი“.

საახალწლო ღია ბლიცტურნირი - ჭადრაკში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებითა და აჭარის სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით, საახალწლო ღია ბლიცტურნირი ჩატარდა ელვისებურ ჭადრაკში

ღია ჩემპიონატში სხვადასხვა ქვეყნის 140-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. B, C, D კატეგორიები მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში გაიმართა, ხოლო კატეგორიას სასტუმრო „იბის სტაილს“-მა უმასპინძლა.

ორივე კატეგორია ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით - 7 და 9 ტურად გაიმართა. ელვისებურ ჭადრაკში ფიდეს რეიტინგი დაითვალა.

სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში პირველი ადგილზე გავიდნენ ალექსანდრე კოპილოვი (9-დან - 8,5 ქულა), კესარია მგელაძე (9-დან - 6,5 ქულა), ლაშა შაინიძე, ალინა პასტუშენკო, ილია აბულაძე, მარიამ გოგუაძე, იური ევდოკიმოვი, ევა სოსელია,

ვეტერანთა ნომინაციაში მარინე არაშიძემ გაიმარჯვა, შშმ პირებში კი ბადრი ბოლქვაძემ.

A კატეგორიის გამარჯვებულები დიპლომით, მედლითა და ფულადი პრიზით დაჯილდოვდნენ, ჩემპიონს, ასევე, გადაეცა თასი.

8, 10 და 12 წლამდე ღია კატეგორიის გამარჯვებული სამეული დაჯილდოვდა დიპლომით, მედლითა და ფასიანი საჩუქრით, ჩემპიონს თასიც გადაეცა.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზე აჭარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა სალომე მელიამ, სასტუმრო „იბის სტაილსის“ ბათუმის გენერალურ მენეჯერ სოფიკო მეგრელიშვილს, ჭადრაკის მხარდაჭერისა და პოპულარიზაციისათვის მადლობის სიგელი გადასცა.

ღონისძიების დასრულების შემდეგ, სასტუმრო „იბის სტაილსის“ საკონფერენციო დარბაზში, ფედერაციის წესდების შესაბამისად, აჭარის ჭადრაკის ფედერაციის 2024 წლის საანგარიშო კონფერენცია გაიმართა. დამსწრე დელეგატებმა წარმატებულად შეაფასეს მიმდინარე წელი და მომავალი წლისათვის ფედერაციის სპორტულ კალენდარს ახალი და საინტერესო პროექტები შემატეს. კონფერენციაზე განსაკუთრებით აღინიშნა სპორტის მესვეურთა მხარდაჭერა ფედერაციის მიმართ. სახელდობრ: ჭადრაკის სასახლის აშენების ისტორიული გადაწყვეტილება, ეროვნული ფედერაციის მიერ საჩუქრად გადმოცემული 70 ცალი უახლესი მოდელის ელექტრონული საათი ჭადრაკის განვითარებისათვის. აქვე აღვნიშნავთ ახალგაზრდა თაობის ბოლო პერიოდის წარმატებას: კესარია მგელაძემ, მარიამ კალანდაძემ და მარიამ ცეცხლაძემ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე 4 მედლის მოპოვება შეძლეს.